მტყუნება, არასამატო სიტუაციები და სხვ. როგორც წესი, ასეთი სისტემა მონაცემებს იღებს დუბლირებული გადამწოდებიდან (ერთ-ერთ ყველაზე საიმედო სქემად ითვლება „2003“, როდესაც ამუშავდება 2 ნებისმიერი გადამწოდი ერთ წერტილში დაყენებული სამი გადამწოდიდან. ეს ფაქტი ითვლება აუცილებელ პირობად დამცავი ბლოკირების ამუშავებისათვის). **ასადს**-ის სისტემას არა აქვს ოპერატორის სადგური, აქვს მხოლოდ საინჟინრო სადგური, რითაც ხდება სისტემის **პლკ**-ს კონფიგურირება. **მგს**-ს ოპერატორის სადგურიდან შეიძლება ვნახოთ, თუ როგორ მუშაობს ავარიის საწინააღმდეგო დაცვის სისტემა, მაგრამ მისი მართვა არ შეუძლია.

თანამედროვე კლასიკურ **ტკმას**-ს ახასიათებს შემდეგი თავისებურებები (ფიგ. 4):

- ოპერატორის ზოგიერთი სადგურის მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში ტექნოლოგიური პრო-

ცესის ავტომატური მართვა გრძელდება. თუ საჭირო გახდება, უნდა დაემატოს პირობები, რომლის წარმოქმნისას ყველა სადგურის მტყუნებამ უნდა გამოიწვიოს წარმოების უსაფრთხო გაჩერება;

- ოპერატორის სადგურები მიერთებულია წარმოების ქსელს, მაგრამ ჩვეულებრივად არა აქვს დაშვება ინტერნეტის ქსელთან, არა აქვს USB დამგროვებლების მიერთების შესაძლებლობა და არა აქვს დისკიდან წამკითხავი საშუალებები. ასევე, ხშირად ოპერატორის სადგურებს არა აქვს სტანდარტული კომპიუტერული კლავიატურები და აღჭურვილი არიან სპეციალიზებული კლავიატურით, რომლებსაც აქვს მხოლოდ აუცილებელი ფუნქციური ღილაკები;
- საინჟინრო სადგურები, ჩვეულებრივ, გამორთული ან ძილის რეჟიმშია.




ფიგ. 4. კლასიკური ტექნოლოგიური პროცესების მართვის ავტომატიზებული სისტემა

2. ტპმას-ის ტიპური დაუცველობები

განვიხილოთ ცხადად, თუ რა სახის ხიფათს შეიცავს ტექნოლოგიური ქსელის ტიპური ტოპოლოგია (ფიგ. 5).

ტიპურ ტოპოლოგიაში, ტექნოლოგიური პროცესის ბუნებიდან გამომდინარე, ცალკე გამოყოფენ სამ ზონას – კორპორატიულს (რომელსაც არ აქვს კავშირი მართვასთან და დაკავებულია მხოლოდ ბიზნეს-

პროცესებით); აღმასრულებელს (უშუალო რგოლი, სადაც სრულდება ტექნოლოგიური პროცესი, მაგალითად, ამიაკის გადამუშავება ან, მაგალითად, ნავთობის მოძრაობის მართვა და სხვ.) და დისპეტჩერიზაციისას (ეს ის ზონაა, სადაც მუშაობენ ტპმას-ის ოპერატორები ანუ ის თანამშრომლები, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინონ ტექნოლოგიური პროცესების მიმდინარეობაზე).



ფიგ. 5. ტექნოლოგიური ქსელის ტიპური ტოპოლოგია

აღმსრულებელ მოწყობილობებსა და ტელემეტრიულ ქვესისტემაში შეიძლება დაგროვდეს შეტყობინებები იმ განგაშისა და ავარიული სიტუაციების შესახებ, რაც საკმაოდ კრიტიკულია მოცემული მომენტისათვის. ამასთან დაკავშირებით, ძალზე მნიშვნელოვანია აღნიშნულ ბლოკებს მიეკუთვნოს საყოველთაოდ დასაშვები IP-მისამართები, რაც სამწუხაროდ ძალიან ხშირად გვხვდება. ზოგიერთ სიტუაციაში ამ პრობლემიდან თავის არიდება შეუძლებელია ქსელის დაპროექტების პროცესში. მაგალითად, თანამედროვე სამრეწველო კონტროლერები შეიძლება შეერთებული იყოს პირდაპირ ან მოდემის გავლით. მოდემის გავლით შეერთებისას მათ, ჩვეულებრივ, აერთებენ GPRS/GSM მოდემებით, რაც ავტომატურად იწვევს მობილურ ოპერატორზე IP-მისამართის მინიჭებას. ასეთი კონფიგურაციის შემთხვევაში ისინი ძალიან დაუცველნი ხდებიან გარე შეტევებისგან. სპეციალიზებული უტილიტებითა და

ლია ქსელის დაპროექტების პროცესში. მაგალითად, თანამედროვე სამრეწველო კონტროლერები შეიძლება შეერთებული იყოს პირდაპირ ან მოდემის გავლით. მოდემის გავლით შეერთებისას მათ, ჩვეულებრივ, აერთებენ GPRS/GSM მოდემებით, რაც ავტომატურად იწვევს მობილურ ოპერატორზე IP-მისამართის მინიჭებას. ასეთი კონფიგურაციის შემთხვევაში ისინი ძალიან დაუცველნი ხდებიან გარე შეტევებისგან. სპეციალიზებული უტილიტებითა და

მეთოდებით ბოროტგანმზრახველმა შეიძლება აღ-
მოაჩინოს ასეთი მოწყობილობები და დააზიანოს
ისინი. თვითონ აღმსრულებელი მოწყობილობები
მიერთებულია MODBUS სერვერთან მიმდევრობით
(RS-232/RS-485) ინტერფეისის გავლით, ხოლო ეს
უკანასკნელები იმართება ოპერატორებით ხდება
TCP/IP პროტოკოლის გამოყენებით Ethernet /
Industrial Ethernet არხის გავლით.

დაუცველობის (საფრთხეების) სრული სურათის
შესაქმნელად გთავაზობთ არაერთ მონაცემს და მათ
ანალიზს სპეციალიზებული წყაროებიდან (ჩვენს
შემთხვევაში ძირითადად გამოყენებულია კომპანია
Positive Technologies მასალები). მონაცემთა ნაწილი
აღებულია სხვა წყაროებიდანაც, როგორცაა: დაუც-
ველობის (საფრთხეების) ცოდნის ბაზა (vulnerability
databases), საექსპლუატაციო პაკეტები (packs), მწარ-
მოებლების შეტყობინებები, სამეცნიერო კონფერენ-
ციების და სპეციალიზებული საიტების მასალები.
დაუცველობის კვლევას ტჰმას-ის სფეროში დასა-
ბამი მისცა Stuxnet ჭიის აღმოჩენამ ირანის ატომურ
ელექტროსადგურ ბუშერში. ქვემოთ მოცემულია
მასალები 2005-2018 წლებში აღმოჩენილი საფრთხე-
ების შესახებ ტჰმას-ში (იხ. ცხრ. 1) და განმარტებუ-
ლია მათი ზოგადი პარამეტრები.

როგორც ცხრილიდან ჩანს, 2010-2012 წლებში
აღმოჩენილი საფრთხეების რაოდენობა თითქმის 20-
ჯერ აღემატება მანამდე აღმოჩენილებს. ამ საფრთ-
ხეებიდან ყველაზე მეტი აღმოაჩნდა ავტორიტეტულ
კომპანიებს, Siemens-42-ს, Schneider Electric-30-ს,
Advantech/Broadwin-22-ს და General Electric-15-ს. ეს
განაპირობა ამ კომპანიების პროდუქციის ფართო
გამოყენებამ. ბევრმა მათგანმა თვითონ დაიწყო სა-
ფრთხეების ძებნა და აღმოფხვრა. მაგალითად,

Siemens-მა შექმნა სპეციალური ქვედანაყოფი Siemens
ProductCERT. Computer Emergency Response Team
(CERT) – კომპიუტერულ ინციდენტებზე რეაგირების
ჯგუფი – <http://www.siemens.com/corporate-technology/en/research-areas/siemens-cert-security-advisories.htm>.

ცხრილი 1

წლები დაუცველობის (საფრთხეების) რაოდენობა

2005	1
2007	3
2010	11
2011	64
2012	98
2013	158
2014	181
2012	212
2016	115
2017	197
2018	257
2019	გამოქვეყნდება 2022 წელს

ამ დაუცველობის 65% განეკუთვნება მაღალი და
საშუალო დონის რისკებს. რისკები ფასდება 10-ბა-
ლიანი სკალით და განაწილებულია შემდეგი წესით
(იხ. ცხრილი 2):

ცხრილი 2

- 0,0 < CVSS ≤ 3,9 – დაბალი დონის რისკი;
- 4,0 ≤ CVSS ≤ 6,9 – საშუალო დონის რისკი;
- 7,0 ≤ CVSS ≤ 10,0 – მაღალი დონის რისკი.

სადაც, CVSS - Common Vulnerability Scoring System –
არის დაუცველობის შეფასების საერთო სისტემა.

2018 წელს კვლავ გრძელდებოდა შეტევები ტპმას-ის მიმართულებით. ამ მიზნით გამოიყენეს Stuxnet-ის ტიპის კიბერარაღი Triton და Industroyer, რომლებიც გამიზნული იყო ტპმას-ის აპარატურაზე თავდასხმისათვის. მოხდა კიბერშეტევები Boeing - ის და Taiwan Semiconductor Manufacturing Company - ის სამრეწველო კომპანიების ობიექტებზე. მართალია, შეტევა განხორციელდა IP - ინფრასტრუქტურაზე, მაგრამ უარყოფითი შედეგი მაინც გამოიწვია ტექნოლოგიური პროცესების მართვაში (ტაივანში ქარხნის გაჩერება). IP - ინფრასტრუქტურებში შეღწევა გზას ხსნის ტექნოლოგიურ ქსელში შეღწევისათვის. კვლევებმა აჩვენა, რომ სამრეწველო ორგანიზაციების 82% მზად არ არის წინ აღუდგეს შიგა თავდასხმელებს, რომლებიც ცდილობენ კორპორატიული ქსელიდან შეაღწიონ ტექნოლოგიურში. ამ ქმედების გავრცელებული სახეა ცნობილი დაუცველობების გამოყენება. საერთოდ, 2018 წელს გამოვლინდა 257 დაუცველობა, რომელთაგან 243 გამოკვლეულია და შედეგები – გამოქვეყნებული, ხოლო 14 შესწავლის პროცესში იყო. საფრთხეების განაწილება მწარმოებლებზე ასეთია: Schneider Electric - 69, Siemens - 66, Advantech - 37, Moxa - 36 და ა.შ. მოწყობილობების წილი საფრთხეების განაწილებაში ასეთია: SCADA/HMI – 23%, სამრეწველო ქსელური მოწყობილობები – 23%, PLC/RAT – 21%, საინჟინრო (ტპმას-ის) პროგრამული უზრუნველყოფა – 18%, სხვები – 15%.

საფრთხეების ტიპობრივი განაწილება ასეთია: ჭარბი უფლებები და პრივილეგიები – 11%, შეტანის არასწორი კონტროლი – 9%, საფრთხეები მეხსიერებასთან მუშაობისას – 8%, გასვლა დანიშნული კატალოგიდან – 7%, და ა.შ. ჯამში, 64% დაუცველობისა

შეიძლება გამოყენებული იყოს დისტანციური ზემოქმედებისათვის. დაუცველობების განაწილება რისკების დონეების მიხედვით შემდეგია (CVSS ვერსია 3): მაღალი – 53%, კრიტიკული – 25%, საშუალო - 21%, დაბალი – 1%. ზოგადად, მაღალი დონის რისკები მოქმედებს კომპლექსურად, ისინი ერთდროულად არღვევენ ინფორმაციული უსაფრთხოების სამ ძირითად თვისებას – კონფიდენციალურობას, მთლიანობას და მიღწევადობას. 2018 წელს დაუცველობა იყო 58%. ამათგან, მხოლოდ 4%-ს სჭირდებოდა მაღალი კვალიფიკაცია, დანარჩენი კი ხელმისაწვდომი იყო დაბალი კვალიფიკაციის ბოტანგანმზრახველებისთვისაც კი.

საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, ტპმას-ის უსაფრთხოების საკითხების დამუშავებაში აქტიურად ჩაერთვნენ როგორც კერძო კომპანიები, ისე სახელმწიფო ორგანიზაციები. პუბლიკაციებიდან ირკვევა, რომ ტპმას-ის დაპროექტების და გამოყენების მეთოდები საკმაოდ კონსერვატიულია და არ პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს. უსაფრთხოების მიმართ მოთხოვნები უნდა იყოს ჩამოყალიბებული ტექნიკურ დავალებებში, რეალიზებული – პროექტებში, განხორციელებული – რეალურ ტექნიკურ სისტემებში და დანერგილი – საექსპლუატაციო პირობებში.

აქ მოკლედ შევეხებით იმ ორგანიზაციულ და ტექნიკურ ღონისძიებებს, რომლებიც უნდა განხორციელდეს ტპმას-ის მართვის სისტემებში, რათა დაცული იყოს ტექნოლოგიური პროცესების უსაფრთხო მიმდინარეობა. იმ წყაროების ჩამონათვალი საიდანაც აღებულია აქ მოტანილი მონაცემები, მოცემულია სტატიის ბოლოს. საჭიროა, რომ:

1. პირველ რიგში, ტექნოლოგიური ქსელი მაქსიმალურად იყოს იზოლირებული ყველა დანარჩე

ნისგან. წვდომა ამ ქსელთან უნდა მოხდეს მხოლოდ დემილიტარიზებული ზონიდან.

2. ტექნოლოგიური ქსელის ყველა კვანძი დაცული იყოს შეტევებისაგან დაცვის აქტიური საშუალებებით.

3. ქსელური ეკრანები განთავსდეს ტექნოლოგიური ქსელის საზღვრებთან, გაეწყოს ისინი შორეული წვდომის მოდულებიდან შემოტევის ასარიდებლად.

4. დაცვითი სისტემები განთავსდეს კორპორატიული ქსელის საზღვარზე და მის შიგნით სპამური და ფიშინგური გზავნილების აღსაკვეთად.

5. ანტივირუსული დაცვის საშუალებები განთავსდეს გარე ქსელის საზღვრებზე.

6. აიკრძალოს ტექნოლოგიური ქსელის შიგნით გარე საფოსტო გზავნილების მიღება/გაგზავნა. აიკრძალოს არააუცილებელი საფოსტო გზავნილების მიღება კორპორატიული ქსელიდან.

7. აიკრძალოს არააუცილებელი საერთო საქალაქების გამოყენება ტექნოლოგიური ქსელის შიგნით.

8. გაუქმდეს შორეული ადმინისტრირების ყველა არააუცილებელი საშუალება ტექნოლოგიურ ქსელში.

9. გაუქმდეს შორეული ადმინისტრირების ყველა არააუცილებელი საშუალება ტექნოლოგიურ ქსელში, რომელიც მოყვება ტკმას-ის პროგრამულ უზრუნველყოფას.

10. თუ აუცილებელი არ არის, გაუქმდეს შემდეგი პროგრამები ტექნოლოგიურ ქსელში:

(ინტერნეტბრაუზერი, სოციალური ქსელის კლიენტები, საფოსტო კლიენტები, MS Office-ის პროგრამები, Adobe პროგრამები, Java Runtime, მედიასაკ-

რავები, სკრიპტული ინტერპრეტატორები - Perl, Python, PHP, არალიცენზირებული პროგრამები).

11. თუ საჭირო არ არის, გამოირთოს Windows Script Host;

12. შესაძლებლობის ფარგლებში შეიზღუდოს SeDebugPrivilege-ის გამოყენება;

13. მომზადდეს პერსონალი კიბერპოლიციის სფეროში;

14. შეიქმნას სამსახურები სამრეწველო ინფორმაციული სისტემების დასაცავად;

15. რეგულარულად ჩატარდეს ტექნოლოგიური ქსელის ინფორმაციული უსაფრთხოების სისტემის აუდიტი;

16. უზრუნველყოფილი იყოს ტექნოლოგიური ქსელის დაუცველობების დროული აღმოჩენა და ლიკვიდაცია;

17. დაინერგოს ტექნოლოგიური ქსელის კრიტიკული არეების მონიტორინგის ავტომატური და ავტომატიზებული საშუალებები;

18. დაინერგოს ტექნოლოგიურ ქსელში საფრთხეების ინციდენტების რეგისტრაციის და დამუშავების სპეციალიზებული საშუალებები;

19. ახალი ტკმას-ის დანერგვის წინ მოხდეს მისი ტესტირება ინფორმაციულ უსაფრთხოებაზე;

20. საფრთხისგან – „ადამიანი შუაში“ დაცვისათვის, ტექნოლოგიური ქსელის შიგნით და საზღვრებზე გამოყენებულ იქნეს ტრაფიკის კრიპტოგრაფიული დაშიფვრა.

21. სადაც საჭიროა, გამოყენებულ იქნეს ტრაფიკის დაშიფვრა ტექნოლოგიური ქსელის კომპონენტებს შორის;

22. ტექნოლოგიურ ქსელში პერსონალის დამუშავება მოხდეს ორფაზური აუთენტიფიკაციით;

23. და რაც უმნიშვნელოვანესია, მოხდეს ყველა დონის პროგრამული საშუალების რეგულარული განახლება.

3. ვირუსული ჭიაყელა Stuxnet-ის მიერ განხორციელებული შეტევა ირანის ატომურ სადგურზე ბუშერში

ამასწინათ, ირანის ახალი ამბების ოფიციალურმა სააგენტომ განაცხადა, ირანის ატომური ქარხნის ზოგიერთი კომპიუტერული სისტემის ინფიცირების შესახებ Stuxnet კომპლექსური ვირუსით. უფრო ადრე სპეციალისტები აცხადებდნენ, რომ ეს ზიანის მატარებელი კოდი „ჩაკირულია“ სამრეწველო ობიექტების ქვეშ და მაშინვე გამოჩნდნენ ექსპერტები, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ ვირუსი ზუსტად იმისთვის არის შექმნილი, რომ მწყობრიდან გამოიყვანოს ირანის ატომური ელექტროსადგური. ამ თემაზე სპეკულაცია ხდება მრავალი მასობრივი ინფორმაციის საშუალების მხრიდანაც სერიოზული გამომცემლობიდან დაწყებული „ყვითელი“ პრესით დამთავრებული, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ არ არის დამტკიცებული, რომ Stuxnet ჭიაყელა ვირუსი შექმნილია სპეციალურად ირანის ატომური ობიექტებისათვის.

ბუშერის ატომური ელექტროსადგურის დირექცია აცხადებს, რომ თუმცა ვირუსმა შეძლო დაეინფიცირებინა საწარმოს ზოგიერთი კომპიუტერული სისტემა, მას არ მიუყენებია არავითარი ზიანი ქარხნის მთავარი სისტემებისათვის.

ამ დროისათვის არსებობს ექსპერტთა ორი ძირითადი აზრი ამ ვირუსის შესახებ.

1. Stuxnet-ი არ არის შექმნილი მხოლოდ ირანის სამრეწველო ობიექტების დასაზიანებლად;

2. Stuxnet-ი შექმნილია არა ერთი ხაკერის, არამედ სპეციალისტების მთელი ჯგუფის მიერ, რომლებიც შესანიშნავად არიან გათვითცნობიერებულნი კერძო საკუთრებაში არსებულ სამრეწველო პროგრამულ უზრუნველყოფაში.

ეს უკანასკნელი აზრი დაფუძნებულია იმ ფაქტზე, რომ Stuxnet-ს ერთის მხრივ აქვს ძალზე რთული სტრუქტურა, რომლის გაშიფვრისათვის ჯერ კიდევ მუშაობენ ექსპერტები; მეორეს მხრივ Stuxnet კოდში არ არის ინდივიდუალური „ნიშნულები“, რომლებიც დამახასიათებელია ცალკეული პირების მიერ შექმნილი პრაქტიკულად ნებისმიერი პროგრამული უზრუნველყოფისათვის. ზოგადად კი, ალბათობა იმისა, რომ Stuxnet-ი შექმნილია ერთი რომელიმე ჰაკერის მიერ, უახლოვდება ნულს.

იგივე ექსპერტები თვლიან, რომ ისეთი ვირუსის გამოჩენით, როგორც Stuxnet-ია, მსოფლიოში გაჩნდა ნამდვილად სერიოზული კიბერარაღი, რომელიც რაიმე საკრედიტო ბარათების ნომრებს კი არ იპარავს, არამედ შეუძლია გამოიწვიოს სერიოზული ავარია მეტად სასშიმ სამრეწველო ობიექტზე. საფრთხის ასეთი ტიპი, იმავე ექსპერტების აზრით არის აბსოლუტურად ახალი და აქედან გამომდინარე, მრავალმა ექსპერტმა დაიწყო პირდაპირი მნიშვნელობით წარმოებების დაშინება იმ მიზნით, რომ მათ დაიწყონ უსაფრთხოების სერიოზული ზომების გატარება.

Stuxnet-მა რუსი სპეციალისტების ყურადღებაც მიიპყრო. ისინი თვლიან, რომ ბოროტმოქმედები შეეცადნენ პროგრამა იმგვარად დაემუშავებინათ, რომ მას მიეცია რაც შეიძლება ნაკლები ყურადღება. Win32/Stuxnet-ის დაინფიცირების მეთოდიც კი უნიკალურია, ვინაიდან პროგრამული უზრუნველ-

ყოფა იყენებს ადრე უცნობ დაუცველობას. გარდა ამისა, „იმის შესაძლებლობა, რომ ვირუსის შეღწევა პერსონალურ კომპიუტერში შესაძლებელია USB დამგროვებლების გზითაც, ქმნის ამ ვირუსის ფართოდ გავრცელების წინაპირობას“. ასეთი კომენტარი გაკეთდა ვირუსული კვლევების და ანალიტიკის ცენტრის – Eset-ის წარმომადგენლობაში. ისინი თვლიან რომ Stuxnet-ის ორიენტაცია მაინცდამაინც ირანის ატომურ ობიექტებზე შეიძლება სრულიად უსაფუძვლო აღმოჩნდეს, რადგან ამ ვირუსმა ჯერჯერობით ყველაზე დიდი გავრცელება ამერიკის შეერთებულ შტატებში პოვა, შემდეგ კი – ირანში. რუსეთი ჯერჯერობით მესამე ადგილზეა ამ ვირუსის გავრცელების თვალსაზრისით.

ამ ფაქტის შესახებ არსებობს სხვა მოსაზრებაც. მაგალითად, გერმანელმა სპეციალისტმა ინფორმაციულ უსაფრთხოებაში რაღფ ლენგრენმა დეტალურად შეისწავლა ეს ვირუსი და არაერთი ანალიზის შემდეგ დაასკვნა, რომ ამ ჭიკაყელას შექმნის უკან შეიძლება მთელი სახელმწიფოც კი იდგეს და არა რომელიმე ხაკერ-სტუდენტი ან სტუდენტთა ჯგუფი. ლენგრენმა წარმოების ინფორმაციული ტექნოლოგიების უსაფრთხოების ერთ-ერთ კონფერენციაზე დამამტკიცებელ საბუთად მოიყვანა ვირუსის კოდის მონაკვეთების დეტალური ანალიზი და გამოაქვეყნა თავის საიტზე. ძირითადი დასკვნა ასეთია: „Stuxnet-ი არის 100%-ით დამიზნებადი შეტევის იარაღი, რომელიც მიმართულია ჩვეულებრივი სამრეწველო პროცესების დარღვევაზე რეალურ და არა ვირტუალურ სამყაროში“. შესაბამისად, უსაფრთხოების ექსპერტები Stuxnet-ს უწოდებენ პირველ ვირტუალურ სუპერიარაღს, რომელიც შექმნილია რეალური ობიექტების გასანადგურებლად.

ამერიკის სამი უდიდესი სპეციალისტი ინფორმაციულ ტექნოლოგიებში, მათ შორის მაიკლ ასანტეც, ეთანხმება ლენგრენის თეორიას, მაგრამ საგანგებოდ აღნიშნავენ, რომ ვირუსის კოდი ჯერ კიდევ არასაკმარისად არის შესწავლილი, იგი განსაკუთრებით რთულია და მუშაობა მის შესასწავლად გაგრძელდება.

საინტერესოა ისიც, რომ არაერთი სპეციალისტი მივიდა იმ აზრამდე, რომ უსაფრთხოების თვალსაზრისით ირანის ატომური ქარხანა Bushehr-ი არის მთავარი სამიზნე ამ ვირუსისათვის, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს ვირუსი აღმოჩენილია მთელ მსოფლიოში და არა მხოლოდ ირანში. ვირუსული გამოკვლევებისა და ანალიტიკის Eset-ის ცენტრის ხელმძღვანელობამ წარმოადგინა ამ ვირუსის გავრცელების სტატისტიკა, რომლის თანახმადაც იგი გავრცელებულია შემდეგნაირად:

- ირანი – 52,2%
- ინდონეზია – 17,4%
- ინდოეთი – 11,3%

იგივე წარმომადგენლობა აღნიშნავს, რომ ბუმერი შეძლება იყოს ამ ვირუსის ერთ-ერთი სამიზნე, მაგრამ არაფერი მიუთითებს იმაზე, რომ ეს სამიზნე ამ ვირუსისათვის იყოს ძირითადი. მაგალითად, გერმანიაშიც კი იყო დაფიქსირებული ამ ვირუსის მიერ რამდენიმე ატომური ელექტროსადგურის დაინფიცირება.

თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ Stuxnet ვირუსი გათვალისწინებულია პირველ რიგში Siemens-ის პროგრამული უზრუნველყოფის მქონე პერსონალური კომპიუტერებისთვის, რომლებიც ჩვეულებრივ გამოიყენება წარმოების პროცესების მართვის

სხვადასხვა სამრეწველო სისტემაში, კონკრეტულად, არა იმდენად მცირე, არამედ საკმაოდ რთულ და სახიფათო საწარმოებში, მაგალითად, თვით ატომურ ქარხნებში. პერსონალურ კომპიუტერებში შეღწევისათვის Stuxnet-ი იყენებს OS Windows-ის სამ დაუცველობას, რომელთაგან დღეისათვის გადაკეტილია მხოლოდ ერთი. Stuxnet კოდი შეიცავს ისეთ მონაკვეთს, რომლებიც თეორიულად აძლევს შესაძლებლობას ბოროტმოქმედს მიიღოს წვდომა პროცესების მართვის სისტემებთან. აქედან გამომდინარე, Stuxnet-ს შეუძლია შეტევა განახორციელოს წარმოების მართვის კომპონენტებზე, ანუ SCADA სისტემაზე, რაც გამოიყენება ქიმიურ, ნავთობქიმიურ, ატომურ მსხვილ და უმსხვილეს საწარმოებში.

4. SCADA – შეტევის ობიექტი: ტექნოლოგიური პროცესების მართვის ავტომატიზებული სისტემების დაცულობის ანალიზი

Stuxnet ვირუსის აღმოჩენამ ბუშერში, ატომურ ობიექტებზე, დიდი ხმაური გამოიწვია. დაისვა კითხვა – „ვინ დგას ყოველივე ამის უკან?“ – ამ კითხვაზე ალბათ არ გაეცემა პასუხი რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში. კრიტიკულად მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურის ობიექტებია დღეისათვის მრავალათვის დიდი ინტერესის საგანი: კონკურენტი კორპორაციებიდან დაწყებული, მტრულად განწყობილი სახელმწიფოების სპეცსამსახურებით დამთავრებული.

კრიტიკულად მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურები გულმოდგინედ დაცული ობიექტებია, ამიტომ მათ ტერიტორიაზე შესვლა და რაიმეს შეტანა უკიდურესად გართულებულია. აქედან გამომდინარე, განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს შორიდან

შეტევის შესაძლებლობა. დღეისათვის ყოველი სახელმწიფო ადგენს ყველაზე დასაცავი ობიექტების სიას. მიუხედავად იმისა, რომ ეს სია სახელმწიფო საიდუმლოებაა, მაინც აბსოლუტურად ნათელია მათი შემადგენლობა: ელექტროენერგეტიკის ობიექტები, ბირთვული და ატომური დარგები, გაზისა და ნავთობის ტრანსპორტირების საშუალებები, ნავთობქიმიური საწარმოები, სტრატეგიული სამხედრო ობიექტები. რა თქმა უნდა, ამ ობიექტების დიდი ნაწილი ავტომატიზებულია ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით, რაც კომპლექსურად წარმოადგენს ტექნოლოგიური პროცესების მართვის ავტომატიზებულ სისტემებს (**ტპმას**).

ტიპური **ტპმას**-ის შემადგენლობაში შედის სამი ძირითადი კომპონენტი: დისპეტჩერიზაციის სისტემა (SCADA) (ფიგ. 6), ტელემეტრიული ქვესისტემა და კომუნიკაციის ინფრასტრუქტურა მონაცემთა გადაცემის სამრეწველო პროტოკოლების გამოყენებით. ხშირად საზღვარგარეთ ტერმინი **ტპმას**-ი გამოტოვებულია და ლაპარაკობენ მხოლოდ SCADA სისტემებზე, თუმცა მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ მხოლოდ დისპეტჩერიზაციას არ შეუძლია ინტერაქტიულად მართოს მთელი სისტემური პროცესები.

როგორი ინსტრუმენტები დაგჭირდება **ტპმას**-ის უსაფრთხოების ანალიზისთვის, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ საქმე გვაქვს ტექნოლოგიური პროცესების დისპეტჩერიზაციისა და მართვის სისტემებთან? აქ გასათვალისწინებელია, რომ 60% ცნობილი **ტპმას**-ისა იყენებს ტრადიციულ Windows, Linux პლატფორმებს.

აუცილებლობის შემთხვევაში გამოიყენება რეალური დროის პლატფორმები, ისეთი როგორც QNX, რომლებიც იძლევა ამა თუ იმ ოპერაციის მო-

ცემული დროის ინტერვალში შესრულების გარანტიას, თუმცა ეს სისტემები უფრო მეტად გამოიყენება სამხედრო დანიშნულების ობიექტებში (საბორტო მართვა).

დღეისათვის არსებობს არცთუ ისე ბევრი ვიწრო-სპეციალიზებული პროგრამული საშუალება ტპმას/ SCADA -ს უსაფრთხოების ანალიზისთვის:



ფიგ. 6. დისპეტჩერიზაციის SCADA სისტემა ბუშერის აეს-ში

- პერსონალური კომპიუტერი „SCADA -აუდიტორი“ ტექნოლოგიური ქსელების, ტპმას/ SCADA-ს დაცულობის ანალიზის სკანერი;
- Teenable Nessus-ი, რომელიც შეიცავს SCADA სისტემის და კომერციული პროგრამული ლოგიკური კონტროლერების მწკრივის შემოწმების რამდენიმე მოდულს;
- Rapid7 Metasploit Project (აქ უკვე ყველაზე მწირი მდგომარეობაა: განყოფილებაში „exploits/scada/“ სულ რამდენიმე წყვილი ვიწრო მიმართულების უტილიტაა).
ბუნებრივია, რომ ამ სპეციალიზებული პროგრამული უზრუნველყოფის გარდა გამოიყენება ტრადიციული ინსტრუმენტები, მაგ. ქსელური nmap სკანერი. ამასწინათ მასში აგრეთვე შეიტანეს პლაგინი, რომელსაც შეუძლია აღმოაჩინოს Stuxnet-ით დაინფიცირებული კვანძი.

5. როგორ აღმოვაჩინოთ Stuxnet-ით დაინფიცირებული კვანძი

NMAP-ის (Network Mapper) ახალ ვერსიაში შეტანილია საინტერესო პლაგინი, რომელიც დაწერილია NMAP Scripting Engine დაპროგრამების ენაზე LUA. მისი სახელია – „stuxnet-detect“.

- ამ პროდუქტით რომელიმე კვანძის გამოკვლევა – იმის შესახებ, არის თუ არა მასში ვირუსი stuxnet SMB - სესიის გავლით, ძალზე მარტივია: Nmap -script stuxnet-detect -p 445 <host>.

გარდა ამისა, დაზიანებული კვანძის აღმოჩენისთვის შეიძლება სკანერის გამოყენება, რომელიც შექმნეს Trend Micro კომპანიის სპეციალისტებმა. როგორ მუშაობს ეს სკანერი და ზოგადად, როგორ მუშაობს stuxnet-ი? Stuxnet-ი არეგისტრირებს თავის RPC სერვერს შიგა და გარე ურთიერთქმედებისათვის, დაზიანებულ კვანძებთან ცალკე კვანძის სახით. RPC სერვერის ფუნქციონალი აწყობილია ჭიაყელას

ვერსიისა და, აგრეთვე, განახლების ფუნქციის შემოწმებაზე (ახალი ეგზემპლარების ჩატვირთვა). შესაბამისი RPC გამოძახებები შესაძლებელია შესრულდეს ამ „სამრეწველო“ ბაგნეტის მართვის ცენტრიდან. ცენტრი გამოსცემს ბრძანებას ვერსიის (0x00) შემოწმების შესახებ. წინასწარ მოწმდება SMB-over_TCP (TCP 445) სამსახურთან ხელმისაწვდომობა, რის შემდეგაც ხდება სივიწროვითა გამოკვლევა, რაც ჩადებულია Stuxnet-ის ამ ვერსიაში (მაგალითად, MS10-061). მე-2 მეთოდია „ჩაყვინთული“ ბოროტმოქმედი Stuxnet-ის კოდის მოძებნა ამოცანათა დამგეგმვაში. ამ მეთოდიკის საფუძველზე მუშაობს Trend Micro სკანერი.

დასკვნა

ოპერატორის სადგურის დაინფიცირება ვირუსით ნაკლებად ალბათურია, მაგრამ თუ მაინც მოხდა, არავითარ ზიანს ეს მოვლენა არ გამოიწვევს. რა თქმა უნდა, არსებობს შემთხვევები, როდესაც ოპერატორები გვერდს უვლიან აკრძალვებს და აყენებენ თავის სადგურებზე კომპიუტერულ თამაშებს ან გადიან ინტერნეტსივრცეში, მაგრამ ამის აღკვეთა სწრაფად ხდება სხვადასხვა ადმინისტრაციული მეთოდის გამოყენებით.

თუ დავუშვებთ, რომ არსებობს სპეციალიზებული ვირუსი, რომელმაც იცის მთელი სისტემის ფუნქციონირების თავისებურებანი და შეუძლია ჰიპოთეტურად მართოს ტექნოლოგიური პროცესი, რამაც შეიძლება ნეგატიური შედეგები გამოიწვიოს,

ამ შემთხვევაშიც კი, ანუ ავარიული სიტუაციის წარმოშობის შემთხვევაში, ამუშავდება ასად სისტემა (რომელიც არ იმართება ოპერატორის სადგურიდან) და გადაიყვანს წარმოებას უსაფრთხო მდგომარეობაში. რა თქმა უნდა, ამან შეიძლება გამოიწვიოს წარმოებისათვის მილიონობით ზარალი (წარმოების გაჩერება), მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში არ მოხდება ტექნოგენური კატასტროფა.

თუ ვილაპარაკებთ საინჟინრო სადგურ ასად-ის ვირუსით დაინფიცირებაზე, მაშინ ეს უნდა იყოს სუპერინტელექტუალური ვირუსი, რომელიც თვითონ გადააპროგრამებს პლკ-ს, თანაც ისეთნაირად, რომ ის მწყობრიდან საჭირო დროს გამოვიდეს, რა თქმა უნდა, ეს არ არის ყველა ის ფაქტორი რომელიც გადააქცევს საინჟინრო სადგურ ასად-ის დაინფიცირებას ნაკლებად ალბათურ ხდომილებად, მაგრამ ამ ღონისძიებებს შეიძლება დაემატოს რამდენიმე მოქმედება, მაგალითად პლკ-ებში ჩატვირთული პროგრამების და პაროლის გამუდმებულად შემოწმება. თანამედროვე ტჰმას-ას, რა თქმა უნდა, საფრთხეს უქმნის ვირუსები და სხვა მაღალტექნოლოგიური პრობლემები, როგორცაა: ოპერატორის სადგურის გადასვლა ბანალურ BSOD-ში, მაგრამ ისინი არ არის ისეთი კრიტიკული, როგორც ბევრს ჰგონია. უნდა გვახსოვდეს, რომ სისტემის უსაფრთხოებას თვალს ადევნებს ასად სისტემები, რომლის კონფიგურირებასაც უდგებიან მთელი სერიოზულობითა და სიფრთხილით.

ლიტერატურა

1. Journal Hacker. (2011, July 8). *SCADA at Gunpoint: Security Analysis of an Automated Process Control System*. Habr.Com. <https://habr.com/ru/company/xakep/blog/123672/>

2. Stuxnet таки добрался до иранского ядерного завода в Бушере/26 сентября 2010
 3. Agadzhanov, M. (2010, September 26). *Stuxnet Reached to Iranian Nuclear Plant in Bushehr*. Habr.Com. <https://habr.com/ru/post/104973/>
 4. *Modern Automated Process Control System*. (2010, October 4). Habr.Com. <https://habr.com/ru/post/105375/>
-

UDC 681.3.06

SCOPUS CODE 1802

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2021-4-46-61>

Analysis of the Security of Modern Automated Technological Processes Control Systems: Attack on a SCADA Object

Jemal Grigalashvili	Department of Control Systems, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 77 M. Kostava str. E-mail: j.grigalishvili@gtu.ge
Zaur Jojua	Department of Computer Engineering, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 77 M. Kostava str. E-mail: jojuazauri@yahoo.com
Nino Jojua	Department of Computer Engineering, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 77 M. Kostava str. E-mail: jojua_nina@gmail.com

Reviewers:

- K. Kotrikadze**, Professor, Faculty of Informatics and Control Systems, GTU
E-mail: ketino27@gmail.com
- K. Odisharia**, Professor, Faculty of Informatics and Control Systems, GTU
E-mail: o_korneli@yahoo.com

Abstract. (.....) Modern automated technology process control systems and the chances of attacks on them are examined in this article. It studies worm virus, Stuxnet, and its detection at the Bushehr Nuclear Power Plant. It also analyzes ways of carrying out attacks on critically important objects, and provides analytical tools for the security of technological process systems. The ways for discovering nodes compromised by the Stuxnet virus are proposed. The article considers technological network of typical topology and its typical vulnerabilities; it analyzes the Modbus protocol, the routing system, and passwords on Cisco routers.

Keywords: Bushehr Nuclear Power Plant; Cisco router; Modbus protocol; passwords; routing system; SCADA; Stuxnet virus; the security of modern automated technology process control systems.

UDC 681.3.06

SCOPUS CODE 1802

HTTPS://DOI.ORG/10.36073/1512-0996-2021-4-46-61

Анализ безопасности современных автоматизированных систем управления технологическими процессами: атака на объект SCADA

Джемал Григалашвили	Департамент систем управления, Грузинский технический университет, Грузия, 0160, Тбилиси, ул. М. Костава 77 E-mail: j.grigalishvili@gtu.ge
Заур Джоджуа	Департамент компьютерной инженерии, Грузинский технический университет, Грузия, 0160, Тбилиси, ул. М. Костава 77 E-mail: jojuazauri@yahoo.com
Нино Джоджуа	Департамент компьютерной инженерии, Грузинский технический университет, Грузия, 0160, Тбилиси, ул. М. Костава 77 E-mail: jojua_nina@gmail.com

Рецензенты:

К. Котрикадзе, профессор факультета информатики и систем управления ГТУ

E-mail: ketino27@gmail.com

К. Одишария, профессор факультета информатики и систем управления ГТУ

E-mail: o_korneli@yahoo.com

Аннотация. (.....) В статье рассматриваются современные автоматизированные технологические системы управления процессом и вероятность кибератак на них. Изучается вирус Stuxnet и его обнаружение на Бушерской атомной электростанции. Также анализируются способы совершения нападений на критически важные объекты и предоставляются аналитические инструменты для обеспечения безопасности систем технологических процессов. Предложены способы обнаружения узлов, скомпрометированных вирусом Stuxnet. Более того, в статье рассматривается технологическая сеть типичной топологии и ее типичные уязвимости; анализируется протокол Modbus, система маршрутизации и пароли на маршрутизаторах Cisco.

Ключевые слова: АЕС «Бушер»; безопасность современных автоматизированных систем управления технологическими процессами; вирус Stuxnet; маршрутизатор Cisco; протокол Modbus; пароли; система маршрутизации; SCADA.

განხილვის თარიღი 04.06.2021

შემოსვლის თარიღი 21.06.2021

ხელმოწერილია დასაბეჭდად 28.12.2021

UDC 551.49

SCOPUS CODE 1907

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2021-4-62-70>

ნაბელღავის მინერალური წყლების საბადოზე ჰიდროგეოლოგიური ხასიათის სამუშაოების მიმოხილვა და საბადოს ბუნებრივი რესურსების უზრუნველყოფა ატმოსფერული ნალექების ხარჯზე

აკაკი მაღლაკელიძე გამოყენებითი გეოლოგიის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, ძ. კოსტავას 75
E-mail: akakimaglakelidze777@gmail.com

რეცენზენტები:

მ. მარდაშოვა, სტუ-ის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის პროფესორი

E-mail: m_mardashova@gtu.ge

ა. ავთანდილე, შპს “გამა კონსალტინგი”, გეოლოგიის აკადემიური დოქტორი, ჰიდროგეოლოგიური
განყოფილების ხელმძღვანელი, მთავარი ჰიდროგეოლოგი

E-mail: avtandil51@mail.ru

ანოტაცია. მინერალური წყლები, სახელმწიფო მნიშვნელობის რესურსია. მათი რაციონალური ათვისება და დაცვა შესაძლებელია მდგრადი და ეფექტური მართვის საშუალებით. ჩვენი შესწავლის საგანია, საკმაოდ რთულ გეოლოგიურ-სტრუქტურულ, ჰიდროგეოლოგიურ და გეოქიმიურ პირობებში ფორმირებული ნაბელღავის მინერალური წყლების საბადო.

ნაშრომში მიმოხილულია ნაბელღავის მინერალური ნახშირმჟავა წყლების საბადოზე ჩატარებული ჰიდროგეოლოგიური სამუშაოები. ჰიდროგეოლოგიური და მეტეოროლოგიური მონაცემების მიხედვით, ჩვენ მიერ გამოთვლილია ბუნებრივი რესურსების ატმოსფერული ნალექებით უზრუნველყოფის კოეფიციენტი. ასევე, დახასიათებულია საბადოს

საექსპლუატაციო ჭაბურღილების გეოლოგიურ-ტექნიკური მდგომარეობა.

ნაბელღავის მინერალური წყლების საბადოს ბუნებრივი რესურსების ატმოსფერული ნალექებით უზრუნველყოფის კოეფიციენტი, გამოთვლილია დარსის მეთოდით, რომელიც 1986 წ. საფონდო მონაცემების თანახმად შეადგენს 25 307 მ³/დღ.-დ, 2000–2020 წწ. მონაცემებით კი – 28 125 მ³/დღ.-დ. წარმოდგენილი მნიშვნელობების პირობითად აღებული საშუალო მაჩვენებელია 26 715 მ³/დღ.-დ, რაც საბადოს ამჟამად დამტკიცებული საექსპლუატაციო მარაგების რაოდენობას (296 მ³/დღ.-დ) 90-ჯერ აღემატება.

საკვანძო სიტყვები: ბუნებრივი რესურსი; დებიტი; მინერალური წყალი; ჭაბურღილი; ნაბელღავი.

შესავალი

ნაბელავის ნახშირმჟავა მინერალური წყლების საბადო მდებარეობს მდ. გუბაზეულის დინების შუა ნაწილში. მის ფარგლებში გავრცელებულია შუა ეოცენის ასაკის ჭიდილის წყების უხეშშრებრივი ტუფოგენური ნალექები, რომლებიც გადაფარულია მეოთხეული ასაკის ალუვიური და დელუვიურ-პროლუვიური წარმონაქმნებით [1].

საბადოს რაიონის ბუნებრივი პირობები, გეოლოგიური, გეომორფოლოგიური, ტექტონიკური და ჰიდროგეოლოგიური თავისებურებები ატმოსფერული ნალექებისა და ზედაპირული წყლების ინფილტრაციისთვის ხელსაყრელ გარემოს ქმნის, რის შედეგადაც წარმოიქმნება მინერალური და მტკნარი მიწისქვეშა წყლები [2].

ძირითადი ნაწილი

ნაბელავის ნახშირმჟავა მინერალური წყლების საბადოზე, კვლევები 1937 წელს დაიწყო. მინერალური წყალი პირველად 1938 წელს იქნა მიღებული №1 წყაროდან, რომლის კაპტაჟის სიღრმე 1,9 მეტრს შეადგენდა. კაპტაჟი მდინარე გუბაზეულის ნაპირიდან 8–10 მეტრში მდებარეობდა, წყლის დონე 0,1–0,7 მეტრ დიაპაზონში მერყეობდა და ძირითადად დამოკიდებული იყო მდინარე გუბაზეულის წყლის დონესა და ატმოსფერულ ნალექებზე. 1938 – 1946 წლებში დაიწყო წყლის საცდელი ამოღება 2,6 - 3 მ³/დღ.-დ ოდენობით. წყლის ქიმიური ტიპი ნახშირმჟავა ჰიდროკარბონატული კალციუმიან-ნატრიუმიანი იყო. საწყის ეტაპზე წყლის მინერალიზაცია 3.6 გ/ლ-მდე, ხოლო 1948–1970 წწ. – 1 გ/ლ-მდე შემცირდა. 1971 წელს მდინარე გუბაზეულის ადიდების შედეგად წყარო დაიტბორა,

მწყობრიდან გამოვიდა და ფუნქციონირება შეწყვიტა.

1974 წელს წყარო აღადგინეს, გაიყვანეს ჭაბურღილი №29, რომლის სიღრმე 9 მ-ს, წყლის დონე 1,8 მ-ს, ხოლო დებიტი 2,5–7,0 მ³/დღ.-დ-ს შეადგენდა. წყალი ნახშირმჟავა, ჰიდროკარბონატული, კალციუმიან-ნატრიუმიანი შემადგენლობის იყო, მინერალიზაცია იყო 2,7–3,7 გ/ლ. ჭაბურღილში აღინიშნა წყლის დონის სტაბილურობა – არ იცვლებოდა მდინარე გუბაზეულის წყლის დონისა და ატმოსფერული ნალექების რაოდენობის ცვალებადობის შესაბამისად. თუ №1 წყაროს წყლის ტემპერატურა სეზონურად 5°C-დან 22°C-მდე მერყეობდა, №29 ჭაბურღილში მისი მაჩვენებელი იყო სტაბილური და ფიქსირდებოდა 10,2–12,2°C-ის ფარგლებში.

1973–1985 წწ. საბადოზე ჰიდროგეოლოგიური (სამიეზო) სამუშაოების ჩატარებისას, გაიბურღა 66 ჭაბურღილი. ჭაბურღილების უმეტესობა (მაგ. №57 ჭაბურღილი) ამავე პერიოდში გაუქმდა. ჭაბურღილების სიღრმეები 5–1231 მ დიაპაზონში მერყეობდა. 10 მეტრამდე გაყვანილი იყო 15 ჭაბურღილი, 50 მ-მდე – 28 ჭაბურღილი, 100 მ-მდე – 6, 200 მ-მდე – 4, 500 მ-მდე – 4, 1000 მ-მდე – 8, ხოლო 1000 მეტრზე მეტი სიღრმის ერთი ჭაბურღილი (№44) [3].

აღსანიშნავია, რომ დროთა განმავლობაში იცვლებოდა და ვითარდებოდა საბადოს საექსპლუატაციო ინფრასტრუქტურა, სამიეზო-საექსპლუატაციო ჭაბურღილების ლიკვიდაციის და ადგილმონაცვლე ჭაბურღილების გაყვანისას, ჰიდროგეოლოგიური პირობების გათვალისწინებასთან ერთად, მნიშვნელობა ენიჭებოდა ჭაბურღილის ტექნიკურ მდგომარეობას, სტიქიურ მოვლენებს, ჭა-

ბურღილებში არაკონდიციური წყლების შემოდინების რისკებს და სხვ.

ნაბელავის მინერალური წყლების საბადოს მარაგები პირველად დამტკიცდა 1986 წელს (საექსპლუატაციო ჭაბურღილები №№1/29, 2, 47, 66ა, 44) ჯამური რაოდენობით 249,5 მ³/დღ.-ლ, მათ შორის „Б“ კატეგორიით 110,5 მ³/დღ.-ლ, C₁ კატეგორიით – 39 მ³/დღ.-ლ, ხოლო C₂ 100 მ³/დღ.-ლ მსკ-ს ოქმი 10172, 1987 წ.) [3]; შემდგომ პერიოდში მარაგები გადაფასდა, კერძოდ 2009 წელს დამტკიცებული მარაგების (საექსპლუატაციო ჭაბურღილები №№2კ, 17, 44, 47, 66ა) ჯამური რაოდენობა იყო 213,1 მ³/დღ.-ლ, მათ შორის „Б“ კატეგორიის 173,7 მ³/დღ.-ლ, C₁ კატეგორიის –

39,4 მ³/დღ.-ლ (მსკ ოქმი №20, 28.XII, 2009 წ. თბილისი) [1]; 2016 წელს მარაგები დამტკიცდა (საექსპლუატაციო ჭაბურღილები (№№2კ, 17ა, 66ა, 67) ჯამური რაოდენობა 296 მ³/დღ.-ლ, მათ შორის B კატეგორიის 173,7 მ³/დღ.-ლ, C₁ კატეგორიის - 122.3 მ³/დღ.-ლ (მსკ ოქმი №20, 28.XII, 2016 წ. თბილისი) [2].



ამჟამად საბადოზე მოქმედი საექსპლუატაციო ჭაბურღილებია №№2კ, 17ა, 66ა და 67; ხოლო №№44 და 47 ჭაბურღილები გამოიყენება სადამკვირვებლოდ. ჭაბურღილების განლაგება მოცემულია პირველ სურათზე, ხოლო დახასიათება – პირველ ცხრილში.



სურ. 1. ჭაბურღილების განლაგების სქემა GoogleEarth

ცხრილი 1

ნაბეღლავის მინერალური წყლის საბადოს საექსპლუატაციო კაბურღილების მონაცემები

კაბურღლის № /გაბურღვის წელი	მდებარეობა/ UTM კოორდინატები	სიღრმე, მ	ქანების დახასიათება და ბეზდობიერი ინდექსი	T°C	ღებიტი მგ/დლ-ღ (სა.მ)	ფოტომასაღა
№2კ 1988 წ.	ნაბეღლავის ტერიტორიაზე არსებული სკვერში, მდ. გუბახეულის მარცხენა ნაპირზე. UTM 38T, 281926, 4645541	180	0-20 მ ინტერვალში გადაკვეთილია მეოთხეული ასაკის ალუვიურ- დედუფური წარმონაქმნები (აღმ- ივ), ხოლო 20-180 მ ინტერვალში - შუა ეოცენის რქატყუარაინი ბაზალტები და ტუფობრექჩიები (P2 ²).	12-15	65.2	
№17ა 2014 წ.	მდ. გუბახეულის მარცხენა ნაპირზე UTM 38T, 282027, 4645448,	85	0-20 მ ინტერვალში კაბურღლით გადაკვეთილია მეოთხეული ასაკის ალუვიურ-კროლოფური წარმონაქმნები (აღმ-ივ), ხოლო 20-85 მ ინტერვალში - შუა ეოცენის რქატყუარაინი ბაზალტები და ტუფობრექჩიები (P2 ²).	5-18	35	

გაგრძელება

	76.8	15-16	<p>0-30 მ ინტერვალში ჭაბურღილით გადაკვეთილია მეოთხეული ასაკის ალუვიურ-პროლუვიური წარმონაქმები (აQ_{IV-V}), ხოლო 30-220 მ ინტერვალში - შუა ეოცენის რქბატყურაინი ბაზალტები, ტუფობრეკები და ტუფები. წყალშემცველია შუა ეოცენის ტუფობრეკები (P2).</p>	220	<p>მდ. ტუბაზეულის მარჯვენა ნაპირზე, ჭალაში. UTM 38T, 282291, 4645402,</p>	<p>№66ა 1985 წ.</p>
	78.7	12-18	<p>0-12 მ ინტერვალში ჭაბურღილით გადაკვეთილია მეოთხეული ასაკის ალუვიურ-პროლუვიური წარმონაქმები (აQ_{IV-V}); 12-35 მ ინტერვალში - შუა ეოცენის ბამოფიტული ტუფები, ტუფობრეკები და ბაზალტები, ხოლო 35-182 მ ინტერვალში - შუა ეოცენის ტუფობრეკები. წყალშემცველია შუა ეოცენის ტუფობრეკები და ბაზალტები (P2).</p>	182	<p>მდ. ტუბაზეულის მარცხენა ნაპირზე, კურორტის აღმოსავლეთ ნაწილში. UTM 38T, 282738, 4644959</p>	<p>№67 2013 წ.</p>

ნაბელღავის ნახშირმჟავა მინერალური წყლების საბადოს კვებაში ერთ-ერთ ძირითად როლს ატმოსფერული ნალექები ასრულებს. ატმოსფერული ნალექებით მიწისქვეშა წყლების ბუნებრივი კვების განსაზღვრისათვის გამოყენებულია დარსის კანონი, რომლის საფუძველზე მიწისქვეშა წყლების ბუნებრივი რესურსების გამოთვლა ხდება ფორმულით [4]:

$$Q = i * F,$$

სადაც

Q არის მიწისქვეშა წყლების ბუნებრივი რესურსი (მ³/დღ.-დ); i – ინფილტრაციული კვება (მ/დღ.-დ); F – კვების არეალის ფართობი (მ²).

გამოთვლილია მიწისქვეშა წყლების ბუნებრივი რესურსები, როგორც გასული საუკუნის მონაცემებით, ისე თანამედროვე მდგომარეობით.

ნაბელღავის მინერალური წყლის საბადოს კვების არის ფართობი შეადგენს 21.21 კმ²=21210000 მ²-ს.

გასული საუკუნის საფონდო და ლიტერატურულ მონაცემებზე დაყრდნობით, ტერიტორიაზე მოსული ნალექების რაოდენობა არის 1 585 მმ/წ., ხოლო აორთქლების მოცულობა – 714 მმ/წ. [3, 5]. სხვაობა შეადგენს 871 მმ/წ. ამ სიდიდის 50% (435,5 მმ/წ.) ზედაპირული ჩამონადენია, ხოლო დანარჩენი – მიწისქვეშა ინფილტრაციაზე. შესაბამისად, ვლებულობთ – i=435,5 მმ/წ.=0,4355 მ/წ.=0,001193151 მ/დღ.-დ. კვების ფართობი (F) არის 21,21 კმ² =21 210 000 მ²-ს. აღნიშნული სიდიდეების შეტანით ვლებულობთ:

$$Q = 0,001193151 * 21\ 210\ 000 = 25\ 306,73\ \text{მ}^3/\text{დღ.-დ} = 292,9\ \text{ლ/წმ}$$

ჩატარებული გაანგარიშების თანახმად, მიწისქვეშა წყლების შევსებაზე მოდის 9 236 957 მ³/წ. (25 307 მ³/დღ.-დ).

თანამედროვე მონაცემებით, საბადოს კვების არეში მოსული ნალექების რაოდენობა საშუალოდ არის 1 680 მმ/წ., ხოლო აორთქლების მოცულობა – 712 მმ/წ, სხვაობა შეადგენს 968 მმ/წ., საიდანაც 50% (484 მმ/წ) ზედაპირული ჩამონადენია, ხოლო დანარჩენი – მიწისქვეშა ინფილტრაციაზე. შესაბამისად ვლებულობთ: i = 484 მმ/წ.=0,484 მ/წ.=0,001326027 მ/დღ.-დ. კვების არის ფართობი (F) შეადგენს 21,21 კმ² =21 210 000 მ²-ს [6]. ფორმულაში აღნიშნული სიდიდეების შეტანით ვლებულობთ:

$$Q = 0,001326027 * 21\ 210\ 000 = 28\ 125,03\ \text{მ}^3/\text{დღ.-დ} = 325.5\ \text{ლ/წმ}$$

შესაბამისად, მიწისქვეშა წყლების შევსებაზე მოდის 10 265 635 მ³/წ. (28 125 მ³/დღ.-დ).

როგორც მიღებული მონაცემებით ჩანს, ნაბელღავის მინერალური წყლის კვების არეში, მიწისქვეშა წყლის ბუნებრივი რესურსების მაჩვენებელი, გასულ საუკუნეში და თანამედროვე პირობებში უმნიშვნელოდ იცვლება. საშუალოდ შეადგენს 26 715 მ³/დღ.-დ, რაც საბადოსათვის ამჟამად დამტკიცებული მარაგების რაოდენობას (296 მ³/დღ.-დ) 90-ჯერ აღემატება.

დასკვნა

- ნაშრომში განხილულია ნაბელღავის მინერალური წყლების საბადოზე ადრე ჩატარებული ჰიდროგეოლოგიური სამუშაოები და მიღებული შედეგები;
- დახასიათებულია საბადოზე ამჟამად მოქმედი საექსპლუატაციო ჭაბურღილები (ადგილმდებარეობა).

ბა, სიღრმეები, წყალშემცველი ქანები და გეოლო-
გიური ასაკი, წყლის დებიტი და ტემპერატურა);
• დარსის კანონით გამოთვლილია გასული საუ-
კუნის და თანამედროვე მდგომარეობით მიწის-
ქვეშა წყლების ბუნებრივი რესურსების უზრუნ-
ველყოფა ატმოსფერული ნალექების ხარჯზე;

• ნაბეღლავის მინერალური წყლების კვების
არეში, მიწისქვეშა წყლის ბუნებრივი რესურსები
საშუალოდ შეადგენს 26 715 მ³/დღ.-ლ, რაც სა-
ბადოსათვის ამჟამად დამტკიცებული მარაგების
(296 მ³/დღ.-ლ) რაოდენობას 90-ჯერ აღემატება.

ლიტერატურა

1. Gabechava, J., Lominadze, I., Tsirghiladze, N., Gogotishvili, L., Davlianidze, H., Tsulukidze, I., Khargelia, R. (2009). *Report on the recalculation of carbon dioxide reserves in the Nabeghlavi field as.* (Book I). Georgia, Tbilisi. (In Georgian);
2. Gabechava, J., Tsirghiladze, N., Davlianidze, H., Lebanidze, B. (2015). *Hydrogeological report on the recalculation of exploitation reserves of Nabeghlavi carbonic mineral water deposit.* (In Georgian);
3. Chichua, T., Tsulukidze, I., Davlianidze, H., Sitnikova, L. (1986). *Exploitation reserves of Nabeghlavi mineral water deposit.* Georgia, Tbilisi. (In Russian);
4. Klimentov, P. (1985). *Dynamics Groundwater.* Armenia, Yerevan. (In Russian);
5. *Construction Climatology, PN 01.05-08.* (2008). Order of the Minister of Economic Development of Georgia. Georgia, Tbilisi. (In Georgian).
6. *Data of Chokhatauri district meteorological checkpoint.* (2001-2020). Observation period data. (In Georgian).

UDC 551.49

SCOPUS CODE 1907

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2021-4-62-70>

An Overview of Hydrogeological Works at Nabeghlavi Mineral Water Deposit and Replenishment of the Natural Resources of the Deposit by Atmospheric Precipitation

Akaki Maghlakelidze Department of Applied Geology, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi,
75 M. Kostava str.
E-mail: akakimaghlakelidze777@gmail.com

Reviewers:

M. Mardashova, Professor, Faculty of Mining and Geology, GTU

E-mail: m_mardashova@gtu.ge

A. Jghamadze, Doctor of Geology, Chief Hydrogeologist and Head of Hydrogeology Department at “Gamma Consulting” Ltd

E-mail: avtandil51@mail.ru

Abstract. Mineral waters are very important resources of the country. Their moderate consumption and protection is possible through sustainable and efficient management.

The paper presents an overview of hydrogeological works carried out on the Nabeghlavi carbonic mineral water deposit. Information on calculation of the natural resource replenishment coefficient with atmospheric precipitation based on the hydrogeological and meteorological data and characterization of geological-technical condition of exploitation drill holes is described.

Coefficient of replenishment of the Nabeghlavi mineral water resources with infiltrated atmospheric precipitation has been determined by Darcy’s method. According to the reference historic data, back in 1986, the magnitude of the coefficient was 25,307 m³/ day, whereas in 2000-2020 it has equated 28,125 m³/day. Conventional average of these values made 26,715 m³/day, which is 90 times higher than the current approved operating reserve (296 m³/day) of the deposit.

Keywords: debit; drill hole; mineral water; Nabeghlavi; natural resource.

UDC 551.49

SCOPUS CODE 1907

HTTPS://DOI.ORG/10.36073/1512-0996-2021-4-62-70

Обозрение гидрогеологических работ на Набеглавском месторождении минеральных вод и обеспеченность естественных ресурсов месторождения за счет атмосферных осадков

Акаки Маглакелидзе Департамент прикладной геологии, Грузинский технический университет, Грузия, 0160, Тбилиси, ул. М. Костава 75
E-mail: akakimaglakelidze777@gmail.com

Рецензенты:

М. Мардашова, профессор горно-геологического факультета ГТУ

E-mail: m_mardashova@gtu.ge

А. Джгамадзе, доктор наук геологии, главный гидрогеолог и начальник отдела гидрогеологии ООО «Гамма Консалтинг»

E-mail: avtandil51@mail.ru

Аннотация. Минеральные воды очень важные ресурсы страны. Их умеренное потребление и защита возможны благодаря устойчивому и эффективному управлению.

В работе представлено обозрение проведенных гидрогеологических работ на Набеглавском месторождении углекислых минеральных вод. По данным гидрогеологических и метеорологических показателей рассчитан коэффициент обеспеченности естественных ресурсов атмосферными осадками, также, охарактеризовано геолого-техническое состояние эксплуатационных скважин месторождения.

Коэффициент обеспеченности естественных ресурсов месторождения атмосферными осадками рассчитан методом Дарси. Данная величина по данным фондовых материалов в 1986 году составляла 25 307 м³/сутки, а по данным 2000-2020 гг. она составила 28 125 м³/сутки, что превышает утвержденные запасы месторождения (296 м³/сутки) в 90 раз.

Ключевые слова: дебит; естественные ресурсы; минеральная вода; Набеглави; скважина.

განხილვის თარიღი 11.10.2021

შემოსვლის თარიღი 18.10.2021

ხელმოწერილია დასაბეჭდად 28.12.2021

UDC 551.49

SCOPUS CODE 1907

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2021-4-71-79>

ნაბელავის მიწისქვეშა მინერალური წყლების ჰიდროქიმიური დახასიათება

აკაკი მალაკელიძე გამოყენებითი გეოლოგიის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 75
E-mail: akakimaglanelidze777@gmail.com

რეცენზენტები:

მ. მარდაშოვა, სტუ-ის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის პროფესორი

E-mail: m_mardashova@gtu.ge

ა. ჯღამაძე, შპს „გამა კონსალტინგი“, გეოლოგიის აკადემიური დოქტორი, ჰიდროგეოლოგიური განყოფილების ხელმძღვანელი, მთავარი ჰიდროგეოლოგი

E-mail: avtandil51@mail.ru

ანოტაცია. საქართველო მდიდარია მიწისქვეშა წყლების საბადოებით, რომლებიც დროსა და სივრცეში განახლებადია და ხასიათდება წყლების საუკეთესო ხარისხობრივი მაჩვენებლებითა და სტაბილური რეჟიმით. მიწისქვეშა მინერალური წყლები საქართველოს ერთ-ერთი ძირითადი ბუნებრივი საწარმოო ძალაა, რომელსაც ეკონომიკის განვითარებასა და საექსპორტო ინდუსტრიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.

2015–2020 წლებში, თანამედროვე უნიფიცირებული მეთოდების გამოყენებით ჩატარებულია ნაბელავის მინერალური წყლების ქიმიური შემადგენლობის კვლევა. აგრეთვე, მომიებული და სისტემატიზებულია ადრე ჩატარებული ქიმიური ანალიზების პრაქტიკულად ყველა მონაცემი.

მათემატიკური სტატისტიკური ანალიზის გამოყენებით გამოთვლილია წყლების შემადგენელი ძირითადი და სპეციფიკური კომპონენტების მაქსიმალური, მინიმალური, საშუალო არითმეტიკული მნიშვნელობები და ემპირიული გადახრა საშუალო არითმეტიკული სიდიდიდან. ქიმიური შემადგენლობის ძველი და ახალი შედეგების შედარებით, ძირითადი იონების სტატისტიკური ანალიზის შედეგების საფუძველზე, ნაჩვენებია წყლების ბუნებრივი ფლუქტუაციის ზღვრები და ყველა საექსპლუატაციო ჭაბურღილის წყლების სტაბილურობა.

ქიმიური შედგენილობისა და საერთო მინერალიზაციის მიხედვით გამოყოფილია წყლების სამი ჯგუფი, კატეგორიით სუსტი და დაბალი მინერალიზაციის. ნაჩვენებია, რომ ყველა საექსპლუატაციო ჭაბურღილის წყლების ქიმიური შემადგენ-

ლობა უპასუხებს ნატურალურ მინერალურ წყალზე მოთხოვნებს, როგორც საქართველოს ნორმატიული დოკუმენტით, ისე ევროკომისიის დირექტივით.

საკვანძო სიტყვები: მინერალური წყალი; ნაბელავი; ჭაბურღილი; ჰიდროქიმიკა.

შესავალი

მსოფლიოში მინერალურ წყლებზე, მათ შორის საქართველოს მინერალურ წყლებზე, მოთხოვნა მზარდია. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2020 წლის მონაცემებით, ქართული მინერალური წყლების ექსპორტი 2 092 334 ათასი ლიტრია, რაც წინა წლებთან შედარებით მნიშვნელოვნად გაზრდილია [1].

გლობალური კონკურენციის პირობებში, ადგილობრივ და მსოფლიო ბაზარზე დამკვიდრების არსებითი ფაქტორია მიწისქვეშა წყლების ხარისხობრივი მაჩვენებლების შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან, რისთვისაც აუცილებელია მონიტორინგი და ჰიდროქიმიური კვლევების ჩატარება თანამედროვე უნიფიცირებული მეთოდების გამოყენებით.

ძირითადი ნაწილი

ნაშრომში დახასიათებულია ნაბელავის ცნობილი საბადოს მინერალური წყლები და მოცემულია მათი ხარისხობრივი შესწავლის შედეგები 2015–2020 წლებში ჩვენ მიერ განხორციელებული ჰიდროქიმიური კვლევების საფუძველზე.

საბადოზე მოპოვებული წყლების ჩამოსხმა ხორციელდება სს „წყალი მარგებელის“ უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილ ქარხანაში. წარმოებული პროდუქცია ექსპორტზე იგზავნება 30 ქვეყანაში. ამავე დროს გასათვალისწინებელია, რომ ექსპორტის აუცილებელი პირობაა ქიმიური შემადგენლობის განსაზღვრა თანამედროვე საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისად, მათი კატეგორიზაცია და რეჟიმის სტაბილურობის ჩვენება.

ნაბელავის მინერალური წყლების საბადო მდებარეობს საქართველოში, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაბელავის ტერიტორიაზე, მდ. გუბაზეულის ხეობაში.

საქართველოს ტერიტორიის ჰიდროგეოლოგიური დარაიონების სქემის მიხედვით, ტერიტორია შედის მცირე კავკასიონის ნაოჭა ბელტური სისტემის ჰიდროგეოლოგიური ოლქის დასავლეთი დაძირვის ფარგლებში. ნაბელავის მინერალური წყლები გავრცელებულია შუაეოცენური ასაკის ვულკანოგენურ-დანალექ ქანებში და ცირკულირებს ძირითადი ქანების ნაპრალოვან ზონებში. საბადოს გავრცელების რაიონში წყლები აღწევს დიდ სიღრმეებს (2000–3000 მ), სადაც ისინი გაჯერდება პოსტვულკანური და მეტამორფული ნახშირორჟანგით და გამდიდრდება წყალშემცველი ქანებისგან გამოტუტვის გზით მიღებული ელემენტებით. ამ ზონებში მაღალი წნევის პირობებში ფორმირებული წყლები ე. წ. „გაზლიფტის“ ფაქტორის მეშვეობით აღწევს ზედაპირთან გავრცელებულ ინფილტრაციული მტკნარი წყლების ჰორიზონტამდე და მათთან შერევით ვლებულობთ საბოლოო პროდუქტს ნაბელავის მინერალური წყლის სახით [2, 3].

ნაბელლავის მინერალური წყალი 1905 წელს აღმოაჩინეს. თავადაპირველად გამოიყენებოდა სასმელად, სამკურნალოდ და სააბაზანოდ (ბალნეოპროცედურების მისაღებად). ამჟამად გამოიყენება სასმელად და წარმოებს მისი ჩამოსხმა.

ნაბელლავის მინერალური წყლების შემადგენლობის დადგენისა და ხარისხობრივი მაჩვენებლების განსაზღვრისათვის ანალიზი (№1 მინერალური წყარო) პირველად ჩაატარა, ლატვიელმა მეცნიერმა რობერტ კუპცმა 1926 წელს. 1938 წლიდან ნაბელლავის მინერალური წყლის საბადოზე სხვადასხვა ინტენსივობით (გარდა 90-იანი წლებისა) იკვლევდნენ წყლების ჰიდროქიმიურ შემადგენლობას, წყალში გახსნილი და თავისუფალი გაზების შემცველობას, მიკრობიოლოგიურ და რადიოლოგიურ მაჩვენებლებს. ტარდებოდა როგორც სავსე ჰიდროქიმიური გაზომვები, ისე ლაბორატორიული ანალიზები „საქგეოკაპტაჟმინწყლების“, „გეომინვოდის“ ჰიდროგეოლოგიურ და საინჟინრო გეოლოგიურ ლაბორატორიებში.

ნაბელლავის მინერალური წყლების ჰიდროქიმიური შესწავლისათვის გასულ საუკუნეში ჩატარებულია: 15 400 სავსე გაზომვა, 1 400 მოკლე და 16 სრული ქიმიური ანალიზი. მიღებული შედეგების საფუძველზე მინერალური წყლები წარმოდგენილი იყო სამ ჯგუფად [4]:

პირველი ჯგუფი – ნახშირმჟავა ჰიდროკარბონატული, ნატრიუმისანი, სილიციუმისანი (H_2SiO_3), ბორიანი (H_3BO_3) მინერალური წყალი, საერთო მინერალიზაციით 2,7 – 3,5 გ/ლ. ჭაბურღილი №1/29.

მეორე ჯგუფი – ნახშირმჟავა ჰიდროკარბონატული, ნატრიუმისანი, სილიციუმისანი (H_2SiO_3),

ბორიანი (H_3BO_3) მინერალური წყალი, საერთო მინერალიზაციით 5,0 – 7,5 გ/ლ. ჭაბურღილები №2 და №66.

მესამე ჯგუფი – ნახშირმჟავა ჰიდროკარბონატული, ნატრიუმისანი, სილიციუმისანი (H_2SiO_3), ბორიანი (H_3BO_3) მინერალური წყალი საერთო მინერალიზაციით 8,0 – 10,0 გ/ლ. ჭაბურღილები №47 და №44.

აღსანიშნავია, რომ ნაბელლავის მინერალური წყლების საბადოს განახლებისა და განვითარების მიზნით, ასევე, არაერთი ფაქტორის (დებიტის კლება, სტიქიური მოვლენები, არაკონდიციური წყლების შემოდინება ჭაბურღილებში) გათვალისწინებით, განხორციელდა საექსპლუატაციო ჭაბურღილების ადგილმონაცვლე ჭაბურღილებით ჩანაცვლება და მოწყობა.

ამჟამად საბადოზე საექსპლუატაციო ჭაბურღილებია №№23, 17ა, 66ა და 67; ხოლო №44 და №47 ჭაბურღილები გამოიყენება სადამკვირვებლოდ.

საექსპლუატაციო ჭაბურღილების წყლების ხარისხის შეფასებისა და სტაბილურობის დასადგენად, ჰიდროქიმიური თვალსაზრისით, გაანალიზებულია ჩვენ მიერ 2015–2020 წლებში შესრულებული საექსპლუატაციო ჭაბურღილების წყლების ქიმიური ანალიზების შედეგები.

წყლის ნიმუშები აღებულია საქართველოსა და საერთაშორისო სტანდარტებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად [5, 6]. ქიმიური ანალიზები ჩატარებულია სამეცნიერო-კვლევითი ფორმა „გამას“ საერთაშორისო სტანდარტის სსტ ისო/იეკ 17025:2017/2018 მიხედვით აკრედიტებულ საგამოცდო ლაბორატორიაში, საერთაშორისო სტანდარტული მეთოდების შესაბამისად, ლაბორატორიის შიგა

სტანდარტული ოპერაციული პროცედურების (სოპ) მიხედვით.

ჩატარებული ქიმიური ანალიზების შედეგებით გამოყოფილია სამი ჯგუფი:

პირველი ჯგუფი – საერთო მინერალიზაციით 1,6–1,9 გ/ლ. ნახშირმჟავა ჰიდროკარბონატულ-ნატრიუმანი, სილიციუმანი (H_2SiO_3) წყალი. ჭაბურღილი №17ა.

მეორე ჯგუფი – საერთო მინერალიზაციით 3,3–3,9 გ/ლ. ნახშირმჟავა ჰიდროკარბონატულ-ნატრიუმანი, სილიციუმანი (H_2SiO_3), ბორიანი (H_3BO_3) წყალი. ჭაბურღილები №№2კ და 66ა.

მესამე ჯგუფი – საერთო მინერალიზაციით 5,7–5,8 გ/ლ. ნახშირმჟავა ჰიდროკარბონატულ-ნატრიუმანი, სილიციუმანი (H_2SiO_3), ბორიანი (H_3BO_3) წყალი. ჭაბურღილი №67.

წყლების ქიმიური შედგენილობის მონაცემებია: pH 6,1–7,6; დიდ დიაპაზონში იცვლება მინერალიზაცია 1625,4–5802,6 მგ/ლ; ჰიდროკარბონატი (HCO_3) 1122,4–4074,8 მგ/ლ; ნატრიუმი (Na) 374–1221 მგ/ლ; კალციუმი (Ca) 10,4–120,0 მგ/ლ; მაგნიუმი (Mg) 7,44–110,4 მგ/ლ; კალიუმი (K) 5,5–27,5 მგ/ლ; სულფატი (SO_4) 16,2–164,0 მგ/ლ; ქლორი (Cl) 13,05–99,26 მგ/ლ; სილიციუმმჟავა (H_2SiO_3) 47,23–92,24 მგ/ლ; ბორის მჟავა (H_3BO_3) 12,59–50,35 მგ/ლ; ბორი (B) 2,23–8,93 მგ/ლ; რკინა (Fe) 0,22–3,1 მგ/ლ; სტრო-

ნციუმი (Sr) 0,1 – 0,88 მგ/ლ; ლითიუმი (Li) 0,19–0,62 მგ/ლ; მანგანუმი (Mn) 0,04–0,36 მგ/ლ; ფტორი (F) 0,34–0,66 მგ/ლ.

ნაბელავის მინერალურ წყლებში არ ფიქსირდება ტყვიის (Pb), ბარიუმის (Ba), ვერცხლის (Ag), ვერცხლისწყლის (Hg), ნიკელის (Ni), სელენის (Se), კობალტის (Co), ალუმინის (Al), იოდის (I) შემცველობა, ასევე არ აღინიშნება ორგანული ნივთიერებების (ქლორორგანული პესტიციდების და ნავთობპროდუქტების) არსებობა. ნიტრატების (NO_3) და ნიტრიტების (NO_2), ამონიუმის (NH_4), ბრომის (Br), ფოსფატების (PO_4), სპილენძის (Cu), თუთიის (Zn), დარიშხანის (As) და ქრომის (Cr) შემცველობა კი უმნიშვნელო რაოდენობით ან/და საერთოდ არ აღინიშნება.

ნაბელავის საბადოსათვის დამახასიათებელი, მინერალური წყლების ბუნებრივი ფლუქტუაციების ზღვრების დასადგენად, საექსპლუატაციო ჭაბურღილების წყლებში ჩვენ გამოვთვალეთ ძირითადი იონების (ჰიდროკარბონატი, ნატრიუმი, კალიუმი, მაგნიუმი, კალციუმი, ქლორი, სულფატი) და სპეციფიკური კომპონენტების (სილიციუმმჟავა, ბორის მჟავა), მაქსიმალური, მინიმალური, საშუალო არითმეტიკული და ემპირიული გადახრა საშუალო არითმეტიკულისგან (იხ. პირველი ცხრილი).

წყლების ძირითადი და სპეციფიკური კომპონენტების სტატისტიკური ანალიზის შედეგები

ჰაბურდილი 17ა	HCO ₃	SO ₄	Cl	Na	Ca	Mg	K	H ₃ BO ₃	B	H ₂ SiO ₃
მინიმალური, მგ/ლ	1122.4	16.2	13.05	374	10.4	7.44	5.5	12.59	2.23	65.19
მაქსიმალური, მგ/ლ	1250.5	22.8	18.43	484	14.8	9.36	7.5	17.91	3.18	80.89
საშუალო, მგ/ლ	1205.77	20.6	15.45	418	12.4	8.16	6.16	14.85	2.63	74.72
STVD	72.26	3.81	2.73	58.2	2.22	1.05	1.15	2.75	0.49	8.37
საშუალო მნიშვნელობიდან გადახრა, %	5.99	18.49	17.69	13.93	17.96	12.82	18.72	18.51	18.64	11.2
ჰაბურდილი 2ა	HCO ₃	SO ₄	Cl	Na	Ca	Mg	K	H ₃ BO ₃	B	H ₂ SiO ₃
მინიმალური, მგ/ლ	2000.8	48.9	38.29	660	37	34.2	7.92	25	4.44	67.5
მაქსიმალური, მგ/ლ	3135.4	78	66.65	935	62	56.4	16.17	35.76	6.34	95.95
საშუალო, მგ/ლ	2392.5	60.07	45.65	812.53	45.86	44.56	11.88	29.5	5.23	81.25
STVD	309.65	11.98	8	80.17	6.94	6.33	1.92	3.26	0.57	8.78
საშუალო მნიშვნელობიდან გადახრა, %	12.94	19.95	17.53	9.86	15.14	14.22	16.17	11.06	11.06	10.8
ჰაბურდილი 66ა	HCO ₃	SO ₄	Cl	Na	Ca	Mg	K	H ₃ BO ₃	B	H ₂ SiO ₃
მინიმალური, მგ/ლ	2025.2	66	40.28	616	68	51.6	3.15	18.34	3.25	49.8
მაქსიმალური, მგ/ლ	3367.2	114	66.64	957	120	99.6	4.9	37.76	6.7	87.58
საშუალო, მგ/ლ	2453.5	79.67	48.14	754.21	84.31	68.88	3.67	24.14	4.28	71.63
STVD	383.78	15.9	9.33	96.28	13.63	12.98	0.5	4.78	0.84	14.32
საშუალო მნიშვნელობიდან გადახრა, %	15.64	19.96	19.38	12.76	16.17	18.84	13.84	19.83	19.83	19.97
ჰაბურდილი 67	HCO ₃	SO ₄	Cl	Na	Ca	Mg	K	H ₃ BO ₃	B	H ₂ SiO ₃
მინიმალური, მგ/ლ	3294	98	75.86	913	80	85.2	22	31.15	5.52	55.6
მაქსიმალური, მგ/ლ	4074.8	164	99.26	1221	94	110.4	27.5	50.35	8.93	85.11
საშუალო, მგ/ლ	3546.13	119.66	85.44	1078	86.67	93.2	23.95	38.63	6.85	65.06
STVD	348.73	23.77	8.96	134	4.68	10.8	2.36	7.14	1.27	12.78
საშუალო მნიშვნელობიდან გადახრა, %	9.83	19.87	10.49	12.43	5.4	11.59	9.86	18.49	18.49	19.64

მიღებული შედეგებით, წყლის შემადგენლობაში მყოფი ძირითადი და სპეციფიკური კომპონენტების ემპირიული გადახრა საშუალო არითმეტიკული სიდიდისგან მერყეობს ბუნებრივი ფლუქტუაციის ზღვრებში და არ აღემატება 20%-ს, რაც მიუთითებს ნაბელავის მინერალური წყლების შედგენილობის სტაბილურობაზე.

ქიმიური შემადგენლობის ძველი და ახალი შედეგების შედარება, ასევე ძირითადი იონების შემცველობის სტატისტიკური ანალიზი, მოწმობს რომ ნაბელავის ნახშირმჟავა მინერალური წყლების შემადგენლობა სტაბილურია, ტიპი – ჰიდროკარბონატული ნატრიუმის, მინერალური წყლების კატეგორია კი ფასდება სუსტი და დაბალი მინერალიზაციით [7]. სპეციფიკური კომპონენტებია სილიციუმმჟავა და ბორის მჟავა (გარდა ჭაბურღილისა №17ა). დამახასიათებელი მიკროკომპონენტებია რკინა, სტრონციუმი, ლითიუმი, მანგანუმი და ფთორი.

რაც შეეხება საექსპლუატაციო ჭაბურღილების წყლების ხარისხს, წყლების ქიმიური შემადგენლობა უპასუხებს ნატურალური მინერალური წყლების კატეგორიის მოთხოვნებს, განსაზღვრულს საქართველოს ნორმატიული დოკუმენტით და ევროკომისიის დირექტივით [8, 9].

დასკვნა

- მოძიებული და სისტემატიზებულია ნაბელავის ნახშირმჟავა მინერალური წყლების საბადოზე გასულ საუკუნეში ჩატარებული ჰიდროქიმიური ანალიზის შედეგები.

- თანამედროვე მდგომარეობით, საექსპლუატაციო ჭაბურღილების წყლების ქიმიური ანალიზების შედეგების ჰიდროქიმიური გაანალიზების საფუძველზე გამოყოფილია სამი ჯგუფი:

➤ **პირველი ჯგუფი** – საერთო მინერალიზაცია 1,6–1,9 გ/ლ. ნახშირმჟავა ჰიდროკარბონატული ნატრიუმის, სილიციუმის წყალი. ჭაბურღილი №17ა;

➤ **მეორე ჯგუფი** – საერთო მინერალიზაცია 3,3–3,9 გ/ლ. ნახშირმჟავა ჰიდროკარბონატული ნატრიუმის, სილიციუმის, ბორის წყალი. ჭაბურღილები №№2კ და 66ა;

➤ **მესამე ჯგუფი** – საერთო მინერალიზაცია 5,7–5,8 გ/ლ. ნახშირმჟავა ჰიდროკარბონატული ნატრიუმის, სილიციუმის, ბორის წყალი. ჭაბურღილი №67.

- სტატისტიკური ანალიზის შედეგებით, წყლის შემადგენლობაში მყოფი ძირითადი და სპეციფიკური კომპონენტების ემპირიული გადახრა საშუალო არითმეტიკული სიდიდისგან მერყეობს ბუნებრივი ფლუქტუაციის ზღვრებში და არ აღემატება 20%-ს.

- ნაბელავის ნახშირმჟავა მინერალური წყლის შემადგენლობა სტაბილურია, ტიპი არის ჰიდროკარბონატული ნატრიუმის, მინერალური წყლის კატეგორია – სუსტი და დაბალი მინერალიზაციის. სპეციფიკური კომპონენტებია სილიციუმმჟავა და ბორის მჟავა (გარდა ჭაბურღილისა №17ა). დამახასიათებელი მიკროკომპონენტებია რკინა, სტრონციუმი, ლითიუმი, მანგანუმი და ფთორი.

-
- წყლების ქიმიური შემადგენლობა უპასუხებს ნა-ტურალური მინერალური წყლების კატეგორიის მოთხოვნებს, განსაზღვრულს საქართველოს ნორმატიული დოკუმენტით და ევროკომისიის დირექტივით.
-

ლიტერატურა

1. (n.d.). Retrieved from National statistics office of georgia: <https://www.geostat.ge/en>
2. Zautashvili, B., Mkheidze, B. (2011). Hydrogeology of Georgia. Georgia, Tbilisi: GTU. (In Georgian);
3. Buachidze, I. and others. Hydrogeology of the USSR. vol. X, Tbilisi, Georgia. (In Russian);
4. Chichua, T., Tsulukidze, I., Davlianidze, G., Sitnikova, L. (1986). LM Report After the Exploitation of the Mineral Reservation with the Memorial Birthday. (In Russian);
5. Technical regulations Sanitary rules for water sampling. (2014). Georgia, Tbilisi: Resolution of the Government of Georgia #26. (In Georgian);
6. ISO 5667 Water quality Sampling. Guidance on sampling of groundwaters;
7. On the approval of the list of water bodies belonging to the treatment category and the hygienic requirements for the quality of mineral water. (2002). Georgia, Tbilisi: Order of the Minister of Labor, Health and Social Affairs of Georgia #310/n. (In Georgian);
8. Technical Regulation of Natural Mineral Water and Source Water #719. (2014). (In Georgian);
9. Commission Directive 2003/40/EC of 16 May 2003 establishing the list, concentration limits and labelling requirements for the constituents of natural mineral waters and the conditions for using ozone-enriched air for the treatment of natural mineral waters and spring waters.

UDC 551.49

SCOPUS CODE 1907

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2021-4-71-79>

Hydrochemical Characterization of Nabeghlavi Underground Mineral Waters

Akaki Maghlakelidze Department of Applied Geology, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi,
75 M. Kostava str.
E-mail: akakimaghlakelidze777@gmail.com

Reviewers:

M. Mardashova, Professor, Faculty of Mining and Geology, GTU

E-mail: m_mardashova@gtu.ge

A. Jghamadze, Doctor of Geology, Chief Hydrogeologist and Head of Hydrogeology Department at “Gamma Consulting” Ltd

E-mail: avtandil51@mail.ru

Abstract. Georgia is rich in groundwater deposits, which renew over time and are characterized by the best indicators of water quality and a stable regime. Groundwater is one of the main natural productive forces of Georgia, which plays an important role in the economic development and export industry.

During 2015–2020, chemical composition of the Nabeghlavi mineral waters has been studied by the means of the modern unified methods. Almost all data from previous chemical analyzes have also been retrieved and systematized/collated.

Using mathematical statistical analysis, the maximum, minimum, and mean arithmetic values of the major and specific components of water and the empirical deviation from the arithmetic mean have been calculated. Though comparison of the recent and historic data on chemical composition, based on the results of statistical analysis of the major ions, the natural fluctuation limits of the waters and stability of waters from all exploitation drill holes have been shown.

According to the chemical composition and total mineralization there are three groups of waters in fresh and low mineralized category. It is shown that chemical composition of water from all exploitation drill holes meets requirements for the natural mineral water category, both the normative document of Georgia and directive of the European Commission.

Keywords: drill hole; hydrochemistry; mineral water; Nabeghlavi.

UDC 551.49

SCOPUS CODE 1907

HTTPS://DOI.ORG/10.36073/1512-0996-2021-4-71-79

Гидрохимическая характеристика подземных минеральных вод Набеглави

Акаки Маглакелидзе Департамент прикладной геологии, Грузинский технический университет,
Грузия, 0160, Тбилиси, ул. М. Костава 75
E-mail: akakimaglakelidze777@gmail.com

Рецензенты:

М. Мардашова, профессор горно-геологического факультета ГТУ

E-mail: m_mardashova@gtu.ge

А. Джгамадзе, доктор наук геологии, главный гидрогеолог и начальник отдела гидрогеологии ООО
«Гамма Консалтинг»

E-mail: avtandil51@mail.ru

Аннотация. Грузия богата залежами подземных вод, которые возобновляются со временем и характеризуются лучшими показателями качества воды и стабильным режимом. Подземные воды – одна из основных естественных производительных сил Грузии, занимающая важное место в экономическом развитии и экспортной отрасли.

В 2015–2020 годах при помощи современных унифицированных методов с успехом исследовался химический состав минеральных вод Набеглави. Также найдены и систематизированы практически все данные ранее проведенных химических анализов. С использованием математическо-статистического анализа высчитаны максимальные, минимальные и средние арифметические значения, основные и специфические компоненты водного состава, а также его эмпирическая погрешность от средней арифметической величины.

При сравнении старых и новых данных химического состава, на основании статистического анализа основных ионов показана естественная флюктуация водных изменений и стабильность всех эксплуатационных скважин.

По химическому составу и общей минерализации выделены три группы, по категориям слабая и низкая минерализация.

Показано, что химический состав всех эксплуатационных скважин соответствует требованиям натуральных минеральных вод, как по нормативным документам в Грузии, так и по директивам Еврокомиссии.

Ключевые слова: дебит; естественные ресурсы; минеральная вода; Набеглави; скважина.

განხილვის თარიღი 11.10.2021

შემოსვლის თარიღი 18.10.2021

ხელმოწერილია დასაბეჭდად 28.12.2021

UDC 355/359

SCOPUS CODE 2205

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2021-4-80-91>

მათემატიკური მოდელები ასიმეტრიული ომისთვის

ლევან მაისურაძე

სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობის, ტექნოლოგიისა და საშენი მასალების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 68^ბ
E-mail: maisuradze.l@gmail.com

რეცენზენტები:

მ. სანიკიძე, სტუ-ის ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის პროფესორი, მაიორი

E-mail: m.sanikidze@gtu.ge

თ. შუბლაძე, სტუ-ის ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის პროფესორი, თადარიგის გენერალ-მაიორი

E-mail: shubladze.tengiz@gmail.com

ანოტაცია. უილიამ ლანჩესტერის მიერ საბრძოლო მოდელებისთვის შემუშავებული დიფერენციალური განტოლებები დღემდე გამოიყენება სამხედრო თეორეტიკოსების მიერ. ასიმეტრიული ვითარება გვხვდება ბრძოლის ველზე ვიწრო გასასვლელებში, სადაც შეუძლებელია მთელი საცეცხლე ძალის კონცენტრირება. ლანჩესტერის განტოლების გამოყენების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პარიტეტის მისაღწევად საჭიროა სამიზნეების გასანადგურებლად ცეცხლის თანამიმდევრობით მასირება.

მოცემულ ნაშრომში განხილულია ასიმეტრიულ ბრძოლებში მათემატიკური მოდელების გამოყენ-

ბის მნიშვნელობა. მათი საშუალებით შესაძლებელია საბრძოლო გათამაშებების ჩატარება და დასკვნების გამოტანა.

ასევე დანაწევრებით ძალთა განადგურების მიზნით შემოთავაზებულია მათემატიკური მოდელი, რომლის საშუალებითაც შეგვიძლია განვსაზღვროთ, თითოეული ბრძოლისათვის როგორ უნდა დაიყოს მოწინააღმდეგის ძალები ოპტიმალურ რაოდენობად. კვლევის საფუძველზე განსაზღვრულია დროის ფაქტორის გავლენა მოულოდნელობის ეფექტზე და შემუშავებულია მათემატიკური მოდელი, რომლითაც შესაძლებელია მოწინააღმდეგესთან ბრძოლის ეფექტური პერიოდის დადგენა.

საკვანძო სიტყვები: ასიმეტრიული ომი; განტოლება; ლანჩესტერის მოულოდნელობის ფაქტორი; მათემატიკური მოდელი.

ბოლო შედეგები ყველა ტიპის კონფლიქტში, მათ შორის ასიმეტრიულ ომში.

შესავალი

სამხედრო ოპერაციების კვლევისა და საბრძოლო მოდელირების აღსაწერად იყენებენ დიფერენციალურ განტოლებათა სისტემებს, რომლებიც პირველად 1916 წელს გამოიყენა ფრედერიკ უილიამ ლანჩესტერმა. მათი საშუალებით შესაძლებელი გახდა მრავალფეროვანი სამხედრო კონფლიქტების გაანალიზება დროსა და სივრცეში. თითოეული განტოლება გამოხატავდა ერთი მდგომარეობის ცვლილების სიჩქარეს სხვა ცვლადებთან მიმართებით. ლანჩესტერის განტოლებების საფუძველზე შემუშავებული ბოლოდროინდელი ლიტერატურა მორგებულია ისტორიულ ბრძოლებზე. ეს დიფერენციალური განტოლებები გამოიყენება სივრცისა და ურთიერთქმედების ეფექტების დასაფიქსირებლად. გვხვდება სხვადასხვა სფეროში, მაგალითად, ბიოლოგიაში, რეკლამებსა და ვიდეოთამაშებში. არსებობს ლანჩესტერის რამდენიმე მოდელი, რომლებიც განსხვავდება ერთმანეთისაგან ოპერატიული მდგომარეობისა და/ან ტაქტიკური ვითარების მიხედვით. აღნიშნული მოდელების ვარიაციებს დღესაც ფართოდ იყენებენ სამხედრო ანალიტიკოსები და ოპერატიული დამგეგმავები ძალთა სტრუქტურისა და საბრძოლო მოქმედებების შესასწავლად. მოდელებში ასახულია ორი დაპირისპირებული სამხედრო ძალის ურთიერთდამოკიდებულების დინამიკა. ისინი საშუალებას იძლევა დადგინდეს შემუშავებული სამოქმედო გეგმების სისწორე და პროგნოზირდეს სა-

ძირითადი ნაწილი

ბრძოლის პროცესის შესწავლის უმნიშვნელოვანესი ასპექტია მისი რაოდენობრივი ანალიზი, რაც შემდგომში არაერთი მნიშვნელოვანი დასკვნის საშუალებას იძლევა. ძალთა კონცენტრაციით შესაძლებელია დანაკარგების შემცირება და მოწინააღმდეგის დამარცხება. ბრძოლის პროცესის მათემატიკური ანალიზის საფუძველია ლანჩესტერის განტოლებები, რომლებიც იძლევა საშუალებას, ბრძოლის ნებისმიერი მომენტისათვის გამოვთვალოთ მხარეთა საბრძოლო ერთეულების რაოდენობა:

$$\frac{dB}{dt} = -aR, \tag{1}$$

$$\frac{dR}{dt} = -\beta B,$$

სადაც $B=B(t)$ და $R=R(t)$ ცვლადებია, რომლებიც პირობითად აღნიშნავენ დაპირისპირებულ ლურჯ და წითელ ძალებს t დროისათვის. დამიზნებული ცეცხლის მოდელი წარმოადგენს საბრძოლო ვითარებას, როდესაც ლურჯი (წითელი) მხარის თითოეული მებრძოლი ეფექტურად ამცირებს წითელ (ლურჯ) ძალას განსაზღვრული ფიქსირებული β , α სიჩქარით. დამიზნებული ცეცხლის მოდელი არის ცვლადების გამოყოფით მიღებული მდგომარეობის განტოლება:

$$\beta(B_0^2 - B^2) = a(R_0^2 - R^2). \tag{2}$$

სადაც B_0 და R_0 არის ლურჯი და წითელი ძალების რაოდენობა ბრძოლის დასაწყისში. კერძოდ, როცა B_0, R_0, β და a მონაცემები ტოლია, ჩვენ ვიღებთ პარტიტულ პირობას: $\beta B_0^2 = a R_0^2$ და ბრძოლა მთავრ-

დება ურთიერთგანადგურებით. იმ შემთხვევაში, თუ ერთ მხარეს, რომელსაც უფრო დიდი დაზიანების მაჩვენებელი აქვს, ავიყვანთ კვადრატში, იგი ბრძოლას იგებს. მიუხედავად იმისა, რომ ცვეთის (განადგურების) მაჩვენებელს აქვს წრფივი ეფექტი, ზომის ეფექტი კვადრატულია. განადგურების გაორმაგებული მაჩვენებელი იზრდება დანაკარგების პროპორციულად და, შესაბამისად, საბრძოლო რაოდენობის საშუალებებს აქვს კვადრატული ზემოქმედების ეფექტი. ამან განაპირობა ის, რომ მიზანმიმართული ცეცხლის მოდელს კვადრატული კანონი უწოდეს. კვადრატული კანონი ხაზს უსვამს ძალების კონცენტრაციის მნიშვნელობას. იგი ერთ-ერთი სამხედრო პრინციპია.

როგორც ცნობილია, (1) განტოლებათა სისტემის ამონახსნია:

$$R = R_0 ch\sqrt{a\beta} t - B_0 \sqrt{\frac{\beta}{a}} sh\sqrt{a\beta} t, \quad (3)$$

$$B = B_0 ch\sqrt{a\beta} t - R_0 \sqrt{\frac{a}{\beta}} sh\sqrt{a\beta} t.$$

ბრძოლის პროცესის ამ მათემატიკურ მოდელში რამდენიმე დაშვება იგულისხმება, რომლებიც მოდელს უადრესად მარტივსა და სქემატურს ხდის. ეს დაშვებებია:

1. მხარეებს აქვს თითო-თითო გვარეობის ძალები;
2. ეფექტური სწრაფსროლები a და β მუდმივებია. ისინი არ არის დამოკიდებული დროსა და ერთეულების სივრცით განლაგებაზე.
3. ბრძოლის პროცესზე არავითარ გავლენას არ ახდენს საბრძოლო ერთეულთა სივრცითი კოორდი-

ნატები, ამიტომ იგულისხმება, რომ მთელი პროცესი თითქოს ერთ წერტილში მიმდინარეობს.

ასეთი სიმარტივის გათვალისწინებით (1) სისტემიდან მაინც შეიძლება არაერთი დასკვნის გამოტანა, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ ტაქტიკის მრავალი საკითხის გარკვევისათვის.

დაშვებების გამო ლანჩესტერმა შეიმუშავა წრფივი კანონის ორი მოდელი. პირველი წრფივი კანონის მოდელს ასევე უწოდებენ უძველეს ბრძოლას. იგი მიიჩნევა, რომ ბრძოლა მოიცავს ინდივიდუალური დუელების კრებულს, რომლებიც ტიპურია ადრეული ისტორიის ბრძოლებისთვის. ასეთ ბრძოლაში მნიშვნელობა არ აქვს ძალების კონცენტრაციას. ამრიგად, განტოლების წყვილი მარტივია, აღწერს უძველეს ბრძოლას $\beta(B_0 - B) = a(R_0 - R)$. ამ შემთხვევაში ზემოქმედების ძალა წრფივია, ამიტომ ეწოდება მას ბრძოლის წრფივი კანონი.

$$\frac{dB}{dt} = -a, \quad (4)$$

$$\frac{dR}{dt} = -\beta,$$

მეორე წრფივი კანონი აღწერს არა დამიზნებულ ცეცხლს, სადაც ცეცხლის მოქმედება დამოკიდებულია არა მხოლოდ მისი გადარჩენილი ძალის ზომაზე, არამედ დაპირისპირებულ ძალთა სამიზნეების სიმჭიდროვეზეც. რადგან ცეცხლი არ არის დამიზნებული, მეორე მხარის დაზიანების ალბათობა დამოკიდებულია ზემოქმედების რაიონში სამიზნეების რაოდენობაზე. სწორედ ამის გამო უწოდებენ ამ მოდელს საცეცხლე რაიონის მოდელს. დიფერენციალური განტოლებების წყვილი ამ შემთხვევაში არის:

$$\frac{dB}{dt} = -aBR, \quad (5)$$

$$\frac{dR}{dt} = -\beta BR.$$

ლანჩესტერის კლასიკური მოდელის შესაბამისად გვაქვს კვადრატული და წრფივი განტოლებების სხვადასხვა ვარიანტი. ასევე, არსებობს ზემოთ აღწერილი განსაზღვრული ლანჩესტერული მოდელების ალბათობის ვერსიები, რომლებიც არსებითად უწყვეტი დროით მიმდინარე პროცესებია. მიუხედავად იმისა, რომ მათ იყენებენ ბრძოლის ველზე განსაზღვრული ალბათობების გათვალისწინებით, ნაკლებად გვხვდება გამოთვლითი სირთულისა და შედარებით შეზღუდული შესაძლებლობის გამო. ისინი გამოიყენება არაერთგვაროვანი საბრძოლო სიტუაციების დროს, როგორცაა, მაგალითად, ასიმეტრიული ომი.

ასიმეტრიული ბრძოლა ხდება მაშინ, როდესაც ორივე მხარე განსხვავებულ ტაქტიკას იყენებს და სახელმწიფოს რეგულარული ძალები ებრძვის პარტიზანებს ან აჯანყებულებს, რომლებიც იყენებენ ასიმეტრიულ საომარ ტაქტიკას. პირველი, ვინც აღწერა ეს ვითარება ლანჩესტერის განტოლების გამოყენებით, იყო დეიჩმანი, რომელმაც შეიმუშავა პირდაპირი ცეცხლისა და ფართობზე ცეცხლის შერეული მოდელი და მას უწოდა პარტიზანული ბრძოლის მოდელი. ერთი მხრივ, პარტიზანები, რომლებიც კარგად არიან შენიღბულნი და ჩასაფრებულნი ან შერეულნი მშვიდობიან მოსახლეობაში, მიმართავენ დამიზნებულ ცეცხლს რეგულარული ძალების წინააღმდეგ. მეორე მხრივ, რეგულარულ ძალებს მხოლოდ პარტიზანების წინააღმდეგ შეუძლიათ გამოიყენონ ფართობზე გახსნილი ცეცხლი.

აღნიშნული ძალების ეფექტურობა დამოკიდებულია პარტიზანი მებრძოლების სიმჭიდროვეზე. იმის გამო, რომ მათი რაოდენობა იკლებს (ნადგურდება), უფრო რთულდება ცოცხალი სამიზნის მოპოვება და მათზე ზემოქმედების ალბათობაც კლებულობს. თუ R არის რეგულარული ძალა, ხოლო B – პარტიზანებია, მაშინ ცვეთის განტოლებებია:

$$\frac{dB}{dt} = -pR \frac{B}{B_0}, \quad (6)$$

$$\frac{dR}{dt} = -\beta B.$$

მოცემული პირობებით ვიღებთ შემდეგ ტოლობას:

$$\beta(B_0^2 - B_0 B) = \frac{\alpha}{2}(R_0^2 - R^2) \quad (7)$$

(7) ფორმულა ლანჩესტერის ორი კანონის – კვადრატული კანონისა და წრფივი კანონის ნაზავია.

ბრძოლის ველზე პარტიზანები დამალული არიან, ხოლო რეგულარული ძალები ღიად მოქმედებენ, ამიტომ, პარტიზანებს აქვთ უპირატესობა რეგულარულ ძალებთან შედარებით. ეს უპირატესობა გამოიხატება მე-(8) განტოლებით:

$$\frac{\beta B_0^2}{\alpha R_0^2} = \frac{1}{2} \quad (8)$$

აქ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ბრძოლა ერთნაირ პირობებში მიმდინარეობს. წითელს (რეგულარული ძალა) დასჭირდება თავისი ეფექტურობის გაორმაგება ან საწყისი ძალების რაოდენობის გაზრდა, რომ მიაღწიოს პარტიზანების შესაძლებლობებთან თანაფარდობას.

მოცემულ ნაშრომში განხილულია ვითარება, როდესაც ასიმეტრიული ტაქტიკით მოქმედი ძალები სწორად იყენებენ რელიევის სამხედრო ასპექტებს, როგორცაა: დაფარვა და შენიღბვა; თვალთვალი და

საცეცხლე ველები; დაბრკოლებები; საკვანძო ადგილები; მიახლოების მარშრუტები. საკომუნიკაციო ხაზებზე ჩასაფრებები და მაღალი ღირებულების მიზნების გასანადგურებლად წარმოებული რეიდები მნიშვნელოვნად შეამცირებს მოწინააღმდეგის სიმეტრიული (კონვენციური) ტაქტიკის გამოყენების ეფექტიანობას. ასევე ადგილმდებარეობის ისეთი მახასიათებლების, როგორცაა მთაგორიანი რელიეფი და დასახლებული პუნქტები, მნიშვნელოვნად გაზრდის ასიმეტრიული ძალების მოქმედების თავისუფლებას.

ასიმეტრიული საბრძოლო ვითარება ვლინდება ვიწრო გადასასვლელებში, მაგალითად, უღელტეხილებზე ან ხიდებზე. დამცავი B ლურჯი ძალა ეფექტურად არის განლაგებული დომინირებულ ადგილებში ისე, რომ მას შეეძლოს ცეცხლის კონცენტრირება მოახლოებულ R წითელ შემტევ ძალაზე, რომელიც ადგილმდებარეობის შეზღუდვების გამო მოძრაობს ვიწრო კორიდორში. ამრიგად, ლურჯ ძალას შეუძლია გამოიყენოს პირდაპირი ცეცხლი მისი ყველა ქვედანაყოფიდან, ხოლო წითელს – მხოლოდ მისი წინა მოძრავი იარაღიდან. ამ სცენარისთვის ლანჩესტერის განტოლებებია:

$$\frac{dR}{dt} = -\beta B \quad (9)$$

$$\frac{dB}{dt} = -a$$

მე-9 განტოლებებით მიიღება $\frac{B}{2}(B_0^2 - B^2) = a(R_0 - R)$ და პარიტეტური პირობაა:

$$\frac{\beta B_0^2}{\alpha R_0^2} = 2 \quad (10)$$

პარიტეტის მისაღწევად შემტევ და არახელსაყრელ მდგომარეობაში მყოფ წითელ ძალას დასჭირდება საწყისი ძალის კვადრატში აყვანა რომ ლურჯ ძალას გაუტოლდეს. ეს ბრძოლის მოდელი ასიმეტრიის განსხვავებული გამოვლინებაა ლანჩესტერის განტოლებათა სისტემაში, როდესაც ორივე მხარე არსებითად განსხვავებულ ტაქტიკას იყენებს.

განვიხილოთ დამიზნებული ცეცხლის სიტუაცია, როდესაც ერთი გვარეობის წითელი ძალა ებრძვის სხვადასხვა გვარეობის ლურჯ ძალას, რომელიც შედგება n რაოდენობის ქვედანაყოფებისგან B_1, \dots, B_n . ლურჯი n ქვედანაყოფები განსხვავდება საცეცხლე ეფექტურობითა და დაცულობით. $a_i(\beta_i)$ – ით აღვნიშნოთ წითლის (R_i) განადგურების სიჩქარე ლურჯის (B_i) მიმართ, $i = 1, \dots, n$. მიუხედავად იმისა, რომ ლურჯი იყენებს ყველა თავის ერთეულს წითლის საწინააღმდეგოდ, ამ უკანასკნელს აქვს დილემა: როგორ განათავსოს ცეცხლი დინამიკურად დაპირისპირებულ ძალებს შორის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დროის მოცემულ t მონაკვეთში $R_i(t)$ -ს რა ნაწილს $p_i(t)$ -ს გამოყოფს ბრძოლაში ჩართვისთვის.

მოცემულ სიტუაციაში ლანჩესტერის განტოლება მიიღებს ასეთ სახეს:

$$\frac{dR}{dt} = -\sum_{i=1}^n \beta_i B_i(t),$$

$$\frac{dB}{dt} = -a_i(t)\beta_i B(t), i = 1, \dots, n,$$

სადაც ყველა

$$\sum_{i=1}^n p_i(t) = 1.$$

მანამდე წარმოდგენილი მოდელებისგან განსხვავებით, რომლებიც წმინდა აღწერითა, (11)-ის მოდელს პირობითი ხასიათი აქვს. წითელი ძალების

გადასაწყვეტი პრობლემაა, თუ როგორ უნდა გაანაწილონ შეტევითი ძალისხმევა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, დროის t ნებისმიერი მონაკვეთისთვის რა არის $p_i(t)$ -ს ოპტიმალური მნიშვნელობები. ამ შემთხვევაში წითლების საუკეთესო ტაქტიკაა, ნებისმიერი t დროისთვის ბრძოლაში $p_i(t)=1$ ჩართოს ლურჯი ძალების გარკვეული ერთეულისთვის i რაოდენობა. ეს არის ის წითელი ძალა, რომელმაც არ უნდა გაანაწილოს ერთდროულად მთელი ცეცხლი გარკვეულ ტერიტორიაზე. ის უნდა კონცენტრირდეს ერთი მიმართულებით ლურჯი ძალების წინააღმდეგ. უფრო მეტიც, წითელმა ძალებმა ლურჯი ქვედანაყოფების შესამცირებლად უნდა ჩართონ ბრძოლაში დროის ნებისმიერ მონაკვეთში β_{α} ძალები, რათა მოახდინონ ლურჯებზე წითელი ძალების ცეცხლის კონცენტრირება.

ზემოთ განხილული R ძალის მოქმედების საკასუხოად ასიმეტრიული ტაქტიკით მოქმედმა B ქვედანაყოფებმა (პარტიზანებმა) დამიზნებული ცეცხლით შეტევა ერთ წერტილში უნდა აწარმოონ მინიმუმ ორი მიმართულებიდან (B_x და B_y ანუ $B_x > B_y$) ძალების არათანაბარი განაწილებით. ამ შემთხვევაში R ძალაზე ერთდროულად გახსნილი მასირებული საცეცხლე ზემოქმედება გაგრძელდება მოწინააღმდეგის საკასუხო ცეცხლის კონცენტრირებამდე (ვითარებაში გარკვევა, საბრძოლო მზადყოფნაში მოყვანა). აღნიშნული მომენტისთვის B_x ძალა დაუყოვნებლივ წყვეტს ცეცხლს და ტოვებს პოზიციებს, რათა მოწინააღმდეგემ ცეცხლის მასირება მოახდინოს B_y მცირე ძალების წინააღმდეგ. ამ შემთხვევაში იკლებს R ძალის მასირებული ცეცხლის ეფექტი და იზრდება B ძალის გადარჩენის შესაძლებლობა.

დავუშვათ, B მხარეს რიცხობრივად მნიშვნელოვნად აღემატება მოწინააღმდეგე R მხარე. რა თქმა უნდა, მათი პირდაპირი შეჯახება R მხარის სრული გამარჯვებით დამთავრდება. მაგრამ, თუ მოწინააღმდეგის ძალები სრულად არ გამოვლენ ბრძოლაში, მაშინ B მხარეს შეეძლება დაამარცხოს მისი რომელიმე ნაწილი. ერთ-ერთი ხერხი იმისა, რომ B მხარემ გაუწიოს ღირსეული წინააღმდეგობა მას და სრულად გაანადგუროს იგი, არის მოწინააღმდეგე ძალების დანაწილება ისეთ და იმდენ ნაწილად, რომ მოიგოს თითოეული ბრძოლა და საბოლოოდ – ოპერაცია.

შემოვიტანოთ პირობა, რომ სხვა ყველა ფაქტორი (იარაღის ხარისხი, სწრაფსროლა, ეფექტური სროლის სიხშირე, მებრძოლთა სულისკვეთება, ფსიქოლოგიური მომზადება, სხვა სახის საკითხების უზრუნველყოფის დონე, ლოგისტიკა და ა.შ.) თანაბარია.

B მხარის გამარჯვებად მივიჩნით მომენტი, როცა ბრძოლები დამთავრებულია, R მხარე განადგურებულია მთლიანად, ხოლო B მხარეს დარჩა მებრძოლთა რაღაც რაოდენობა. შევთანხმდეთ, რომ B მხარეს ბრძოლის დაწყებამდე ჰყავს X_0 რაოდენობის ჯარი, ხოლო R მხარეს – $Y_0 = K \cdot X_0$ (სადაც K არის ძალთა თანაფარდობის კოეფიციენტი).

როგორც აღვნიშნეთ, ბრძოლის დინამიკის მათემატიკური მოდელირების თანახმად, პირდაპირი შეხვედრების შემთხვევაში B მხარე პირწმინდად წააგებს. ამიტომ, იგი ანაწევრებს მოწინააღმდეგეს რაღაც N ნაწილებად და ყველა ნაწილს ანადგურებს ცალ-ცალკე, ეტაპობრივად. ანუ, უნდა შეებრძოლოს მის ყოველ $\frac{K \cdot X_0}{N}$ ნაწილს და n რაოდენობის

ბრძოლების შემდეგ სრულად უნდა განადგუროს მოწინააღმდეგე. ჩვენი ამოცანაა დავადგინოთ, რას უდრის N .

ლანჩესტერის განტოლების თანახმად, B მხარე შეებრძოლება რა R მხარის $\frac{K \cdot X_0}{N}$ ნაწილს, პირველი ბრძოლის შემდგომ რჩება X_1 რაოდენობის ძალები, რომელიც გამოისახება ფორმულით:

$$X_1 = \sqrt{X_0^2 - \left(\frac{K \cdot X_0}{N}\right)^2} = X_0 \cdot \sqrt{1 - \left(\frac{K}{N}\right)^2} \quad (12)$$

მეორე ბრძოლაში B მხარე ჩაებმება X_1 ნაწილით, ხოლო R მხარე – ისევ $\frac{K \cdot X_0}{N}$ ნაწილით. მეორე ბრძოლის შემდგომ B მხარეს დარჩება X_2 ნაწილი, რომელიც ტოლი იქნება:

$$\begin{aligned} X_2 &= \sqrt{X_1^2 - \left(\frac{K \cdot X_0}{N}\right)^2} = \\ &= \sqrt{X_0^2 \left[1 - \left(\frac{K}{N}\right)^2\right] - \left(\frac{K \cdot X_0}{N}\right)^2} = \\ &= X_0 \cdot \sqrt{1 - \left(\frac{K}{N}\right)^2} \quad (13) \end{aligned}$$

იმავე მეთოდით, $n-1$ ბრძოლის შემდგომ B მხარეს დარჩება:

$$X_{n-1} = X_0 \cdot \sqrt{1 - (n-1) \left(\frac{K}{N}\right)^2}$$

ძალები, ხოლო მოწინააღმდეგეს – ბოლო $\frac{K \cdot X_0}{N}$ ძალები.

აღნიშნული ბრძოლის წინ, B მხარის დარჩენილმა საბრძოლო ერთეულებმა უნდა სძლიოს და დაამარცხოს R მხარის დარჩენილი $\frac{K \cdot X_0}{N}$ ნაწილი. ეს

პირობა დააკმაყოფილებს ჩვენი ამოცანის მოთხოვნას, რადგან ანალიტიკური სტრატეგიის თანახმად, ეს შესაძლებელია მაშინ, როცა R მხარე რიცხობრივად სჭარბობს B მხარეს (როგორც თავიდანვე შეთანხმდით, სხვა ყველა საბრძოლო მაჩვენებელი ერთნაირია) ანუ, როცა:

$$X_{n-1} \geq \frac{K \cdot X_0}{N}, \text{ ე.წ.,}$$

$$X_0 \cdot \sqrt{1 - (n-1) \left(\frac{K}{N}\right)^2} \geq \frac{K \cdot X_0}{N} \quad (14)$$

თუ უტოლობის ორივე მხარეს ავიყვანთ კვადრატში და გავამარტივებთ, მივიღებთ:

$$1 - (n-1) \left(\frac{K}{N}\right)^2 \geq \frac{K^2}{N^2} \quad (15)$$

თუ ბრძოლათა n რაოდენობას მივიჩნევთ მოწინააღმდეგის დანაწევრების N რაოდენობის ტოლად $n = N > 1$, უტოლობა მიიღებს შემდეგ სახეს:

$$1 \geq \frac{K^2}{N}$$

ანუ $N \geq K^2$ (16)

$$N \geq K^2.$$

ეს არის კოეფიციენტი, რომელიც აჩვენებს, თუ რამდენ ნაწილად უნდა დაანაწილოს B მხარემ რიცხობრივად ჭარბი მოწინააღმდეგე, რომელიც აღემატება მას K -ჯერ, რათა გაიმარჯვოს მის ყოველ $\frac{1}{N}$ ნაწილზე და N რაოდენობის ბრძოლის შემდგომ მიაღწიოს საბოლოო გამარჯვებას.

პირობითად, N კოეფიციენტს შეგვიძლია „დანაწევრების“ კოეფიციენტი ვუწოდოთ.

მაგალითი: თუ B მხარეს ჰყავს ათი მეგრძოლი ერთეული, ხოლო R მხარეს – ორმოცი (ანუ $K=4$), B მხარეს შეეძლება მოუგოს ბრძოლები მოწინააღმდეგეს საბოლოოდ იმ შემთხვევაში, თუ მას არანაკ-

ლებ $N \geq K^2 \geq 16$ ბრძოლას გაუმართავს და თითოეულ ბრძოლაში შეეებება მის $\frac{1}{16}$ ნაწილს, ე.ი. არა უმეტეს მის 2,5 საბრძოლო ერთეულს.

ზემოთ მოყვანილი მაგალითიდან ჩანს, რომ B მხარე დაამარცხებს R მხარეს, თუ დააკმაყოფილებს პირობას, როდესაც ყველა ბრძოლაში მას მიაყენებს არანაკლებ $R_d \geq \frac{K \cdot X_0}{N}$ დანაკარგს (რადგან $N \geq K^2$, R_d უნდა იყოს $\frac{X_0}{K}$ -ზე არანაკლები), ხოლო საკუთრივ B მხარის დანაკარგი (B_d) არ აღემატება $X_0 - X_1$ -ს ანუ

$$B_d \leq X_0 - X_0 \cdot \sqrt{1 - \left(\frac{K}{N}\right)^2} \leq X_0 \cdot \left(1 - \sqrt{1 - \frac{1}{K^2}}\right) \quad (17)$$

იქმნება უტოლობათა სისტემა.

$$\begin{cases} R_d \geq \frac{X_0}{K} \\ B_d \leq X_0 \cdot \left(1 - \sqrt{1 - \frac{1}{K^2}}\right) \end{cases} \quad (18)$$

შევადართ, როგორი უნდა იყოს შეფარდება ორივე მხარის დანაკარგს შორის, რათა დაკმაყოფილდეს საძებნი წინაპირობა.

$$\frac{R_d}{B_d} = \frac{\frac{X_0}{K}}{X_0 \cdot \left(1 - \sqrt{1 - \frac{1}{K^2}}\right)} = \frac{1}{K - \sqrt{K^2 - 1}} \quad (19)$$

(19) გამოსახულება წარმოადგენს მხარეთა დანაკარგების შეფარდებას ბრძოლის წინა ეტაპზე, საიდანაც ჩანს, რომ თუ B მხარე დააკმაყოფილებს ამ პირობას და ბრძოლის იმ მომენტში, როდესაც თვითონ განიცდის დანაკარგს ერთი საბრძოლო ერთეულით, მას R მხარისათვის ამ დროს უკვე მიყენებული

ექნება ზარალი $R_d \geq \frac{1}{K - \sqrt{K^2 - 1}}$ ოდენობით, მაშინ იგი საბოლოოდ მოიგებს ომს, წინააღმდეგ შემთხვევაში – წააგებს.

მოულოდნელობის ეფექტის გამოყენებით ჭარბი ძალის მქონე მოწინააღმდეგის – R-ის დამარცხება შეუძლია მცირერიცხოვან B ძალას. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია მცირერიცხოვანმა ძალამ ბრძოლება აწარმოოს მოწინააღმდეგესთან ისეთი გათვლით, რომ თითოეულ შეტაკებაში ყოველი ერთი f დანაკარგი ტოლი ან მეტი იყოს K სიდიდის ორმაგი მნიშვნელობისა. ის მოწინააღმდეგეს ზიანს აყენებს ისე, რომ თვითონ ჯერ დანაკარგი არ განუცდია. იმ მომენტში, როდესაც მოწინააღმდეგე შეძლებს მიაყენოს B მხარეს რაღაც f დანაკარგი, მაშინ მოწინააღმდეგე მხარის დანაკარგი აღემატება $B_d \geq 2Kf$ -ს და B მხარე იგებს ბრძოლას. მისთვის მთავარია, ბრძოლა ისე დაგეგმოს და აწარმოოს, რომ ხელსაყრელ პერიოდში „ამოაკლოს“ მოწინააღმდეგეს დანაკარგების წინასწარ გათვლილი სიდიდე და გავიდეს კონტაქტიდან. ამის გათვალისწინებით გამოსახულება იღებს შემდეგ სახეს:

$$\begin{cases} B_d \leq f, \\ R_d \geq 2 \cdot K \cdot f. \end{cases} \quad (20)$$

დავუშვათ, არსებობს დროის რაღაც Δt მონაკვეთი, როდესაც B მხარე იწყებს ზემოქმედებას R მხარეზე, ხოლო ეს უკანასკნელი ჯერ ვერ პასუხობს მას ანუ მისი მსროლელი ერთეულები ან ვერ აწარმოებენ საპასუხო სროლას საბრძოლო მდგომარეობაში არყოფნის გამო, ან მათი სროლის ეფექტურობა ნულის ტოლია. ამის მიზეზი შეიძლება იყოს სადაზვერვო ინფორმაციის არქონა. ამიტომ ვერ ხორციელდება დამიზნებით სროლა. ე.ი., დროის Δt მონაკვეთით

სათვის B მხარეს ეყოლება ისევ X_0 რაოდენობის საბრძოლო ერთეულები, ხოლო დანაკარგები, რასაც R მხარე განიცდის, გამოსახული იქნება წრფივი სიდიდით:


$$R_d = X_0 \cdot \beta \cdot \Delta t \quad (21)$$

სადაც β არის B მხარის საბრძოლო ერთეულის ეფექტური სწრაფსროლა.


ამ გამოსახულების „სწორხაზოვნება“ ნიშნავს იმას, რომ ჯერჯერობით ლანჩესტერის განტოლებათა სისტემა „არ მუშაობს“. იგი „ამუშავდება Δt დროის შემდეგ, როცა R მხარე „გონს მოვა“, მოი-

პოვებს რაღაც რაოდენობის სადაზვერვო ინფორმაციას, მოვა საბრძოლო მზადყოფნაში და შეუდგება დამიზნებით სროლას. გარკვეული დროის შემდგომ მისი სწრაფსროლა რაღაც კანონზომიერებით გაუტოლდება თავის მაქსიმუმს.

გრაფიკულად ამ დამოკიდებულებას ექნება ისეთი სახე, როგორც პირველ სურათზეა გამოსახული, ხოლო დაუზიანებელი (გადარჩენილი) ძალების რიცხოვრივი რაოდენობა $X(t)$ და $Y(t)$ ბრძოლის ნებისმიერი მომენტისათვის ზოგადად დახასიათდება გრაფიკით, როგორც ეს ნაჩვენებია მე-2 სურ-ზე.



სურ. 1. R და B მხარეების დანაკარგების გრაფიკი



სურ. 2. დაუზიანებელი (გადარჩენილი) ძალების რაოდენობა დროის მიხედვით

Δt დროის ის მონაკვეთია, როცა B მხარე ცალსახად იგებს ბრძოლას, ამ დროის განმავლობაში β მაქსიმალურია, ხოლო R მხარის საბრძოლო ერთეულის ეფექტური სწრაფსროლა $\alpha=0$. ბრძოლის სცენარში ეს თეორიულადაც და პრაქტიკულადაც შესაძლებელია B მხარის მიერ ფარულობისა და მოულოდნელობის ელემენტების მაქსიმალურად გამოყენებით. უნდა ვივარაუდოთ, რომ Δt დროის შემდეგ R მხარე მოახერხებს გარკვეული ინფორმაციის მოპოვებას, რის შემდეგაც α დაიწყებს ზრდას. თეორიულად შესაძლებელია, რომ იგი ნულიდან მყისიერად გახდეს მაქსიმალური, მაგრამ ამას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. მთავარია, რომ არსებობს დროის რაღაც t_1 მონაკვეთი, როდესაც B მხარისათვის ბრძოლის წარმოება ჯერ კიდევ მიზანშეწონილია, ხოლო დროის ამ მონაკვეთის ამოწურვის შემდეგ B მხარე იწყებს წაგებას.

t_1 ის კრიტიკული დროა, სადაც ჯერ კიდევ უტოლობათა სისტემას აკმაყოფილებს მოცემული ამონახსნები ანუ როცა „ამოკლების“ კოეფიციენტის მოთხოვნა ჯერ კიდევ სრულდება.

t_1 დროის შემდეგ B_a დანაკარგების რაოდენობა იზრდება, ამიტომ B მხარე უნდა გაერიდოს ბრძოლას ან ამ მონაკვეთზე დატოვოს ბრძოლა და მაშინვე

შექმნას ფარულობის სრული დაცვით მოულოდნელობის ახალი მომენტი უკვე სხვა მონაკვეთზე, ბრძოლა კი ახალი სცენარით გააგრძელოს, ოღონდ ისევ იმავე პრინციპების დაცვით. რაც უფრო მეტი ახალი სცენარი იქნება მომზადებული და რაც უფრო ხშირად ჩავარდება მოწინააღმდეგე მისთვის უცხო ვითარებაში, მით უფრო ჩქარა ამუშავდება მისი დამარცხების ისეთი ფაქტორები, რომლებიც მართომატიკური დანაკარგების სიდიდით არ განისაზღვრება.

დასკვნა

ნაშრომში გამოყენებული აპრობირებული და ახალი მათემატიკური მოდელები საშუალებას იძლევა გაანალიზდეს ასიმეტრიულ ბრძოლებში ცეცხლის წარმოების ეფექტურობა, რათა ლურჯმა ძალამ (პარტიზანებმა) მიზანმიმართულად გაანაწილოს საბრძოლო ძალა და ჩამოაყალიბოს მოწინააღმდეგის დანაწევრებისა და დამარცხების ოპტიმალური მოდელი. მათემატიკურად გამოანგარიშებული მოულოდნელობის ეფექტი ასევე ძირითადი დასკვნების საშუალებას იძლევა ასიმეტრიული ტაქტიკის სწორად გამოყენებისთვის.

ლიტერატურა

1. Barkalaia, G., Melashvili, D. (1997). On the mathematical model of combat dynamics and its application. *Military Equipment*, 5 (In Georgian);
2. Barkalaia, G. (1996). Game Theory and Decision Making in a Conflict Situation. *Military Equipment*, . (In Georgian);
3. Barkalaia, G., Melashvili, D. (2001). Mathematical model of combat dynamics in the conditions of territorial distribution of hostilities. *Proceedings of the National Defense Academy*, 1 (In Georgian);
4. Washburn, A., Kress, M. (2009). *Combat Modeling*. Springer: New York, NY, USA;
5. Kress, M. (2012). Modeling armed conflicts. Retrieved from science.org: <https://syr.us/Rxj>

6. Lanchester, F.W. (1916). Aircraft in Warfare: The Dawn of the Fourth Arm. *Constable and Co.: London, UK*;
7. Brown, G., Washburn, A. (2007). The Fast Theater Model (FATHM). *Military Operations Research*;
8. Sahni, M., Das, S.K. (2015). Performance of maximum likelihood estimator for fitting Lanchester equations on KurskBattle data. *J. Battlef. Technol, 18*, 23-30;
9. Lucas, T.W., Turkes, T. (2004). Fitting Lanchester equations to the battles of Kursk and Ardennes. *Naval Research Logistics, 51*;
10. Eldridge, S.A., Mesterton-Gibbons, M. (2003). Lanchester's attrition models and fights among social animals. *Behavioral Ecology 14* (5), 719–723. DOI: 10.1093/beheco/arg061;
11. Deitchman, S. J (1962). A Lanchester model of guerrilla war. *Operations Research, 10*(6).
<https://doi.org/10.1287/opre.10.6.818>;
12. Kress, M., MacKay, N. (2014). Bits or Shots in Combat? The Generalized Deitchman Model of Guerrilla Warfare. *Operations Research Letters, 42*(1), DOI: 10.1016/j.orl.2013.08.004;
13. Kress, M., Caulkins, J.P., Feichtinger, G., Grass, D., Seidl, A. (2018). Lanchester model for three-way combat. *European Journal of Operational Research, 264* (1), 46-54;
14. Ventcel, E.S. (1964). *Introduction to Operations Research*. Moscow: Soviet radio. (In Russian);
15. Mityukov, N.V. (2011). *Simulation in military history*. Ed. 2. – Moscow: Publishing house of LCI, (In Russian);
16. Novikov, D.A. (2012). Hierarchical models of military operations. *Management of large systems, 37* (In Russian).

UDC 355/359

SCOPUS CODE 2205

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2021-4-80-91>

Mathematical Models for Asymmetric Warfare

Levan Maisuradze Department of Civil and Industrial Engineering, Technology and Building Materials, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 68^b M. Kostava str.
E-mail: maisuradze.l@gmail.com

Reviewers:

M. Sanikidze, Major, Professor, Institute of Construction, Special Systems and Engineering, GTU
E-mail: m.sanikidze@gtu.ge

T. Shubladze, Retired Major General, Professor, Institute of Construction, Special Systems and Engineering, GTU
E-mail: shubladze.tengiz@gmail.com

Abstract. Differential equations developed by William Lanchester for combat models are still used by military theorists in traditional and asymmetric wars. The paper focuses on the asymmetric situation encountered in narrow exits on the battlefield, where it is impossible to concentrate the entire firepower. Based on the application of the Lancaster Equation, it is determined that in order to achieve parity, it is necessary to destroy targets by sequentially massaging fire. The mathematical model proposed for the destruction of forces by divisions even allows to determine how to divide the opposing forces into the optimal number for each battle. Based on the research, the influence of

the time factor on the element of surprise is determined and a mathematical model is developed, which can determine the effective period of fighting the opponent.

Keywords: asymmetric war; element of surprise; mathematical model; the Lanchester equation.

UDC 355/359

SCOPUS CODE 2205

[HTTPS://DOI.ORG/10.36073/1512-0996-2021-4-80-91](https://doi.org/10.36073/1512-0996-2021-4-80-91)

Математические модели асимметричной войны

Леван Маисурадзе Департамент технологии гражданского и промышленного строительства и строительных материалов, Грузинский технический университет, Грузия, 0160, Тбилиси, ул. М. Костава 68^б
E-mail: maisuradze.l@gmail.com

Рецензенты:

М. Саникидзе, майор, профессор Института строительства, специальных систем и инженерного обеспечения ГТУ

E-mail: m.sanikidze@gtu.ge

Т. Шубладзе, генерал-майор в отставке, профессор Института строительства, специальных систем и инженерного обеспечения ГТУ

E-mail: shubladze.tengiz@gmail.com

Аннотация. Дифференциальные уравнения, разработанные Уильямом Ланчестером для боевых моделей, до сих пор используются военными теоретиками в традиционных и асимметричных войнах. В статье рассматривается асимметричная ситуация, возникающая в узких выходах на поле боя, где невозможно сосредоточить всю огневую мощь. На основе применения уравнения Ланчестера определено, что для достижения паритета необходимо уничтожать цели последовательным массированным огнем. А предложенная математическая модель поражения войск дивизиями позволяет определить, как разделить противоборствующие силы на оптимальные количества для каждого боя. На основе исследования определяется влияние фактора времени на эффект внезапности и разработана математическая модель, которая позволяет определить эффективный период борьбы с противником.

Ключевые слова: асимметричная война; математическая модель; уравнение Ланчестера; фактор внезапности.

განხილვის თარიღი 16.11.2021

შემოსვლის თარიღი 19.11.2021

ხელმოწერილია დასაბეჭდად 28.12.2021

UDC 355/359

SCOPUS CODE 2205

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2021-4-92-104>

თანამედროვე ტექნოლოგიების გავლენა საბრძოლო მოქმედებებსა და სამხედრო გადაწყვეტილების მიღებაზე

**იოსებ
ავსაჯანიშვილი** სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობის ტექნოლოგიისა და საშენი
მასალების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 68^ბ
E-mail: sosoavs@gmail.com

რეცენზენტები:

მ. სანიკიძე, სტუ-ის ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის
ინსტიტუტის პროფესორი, მაიორი

E-mail: m.sanikidze@gtu.ge

თ. შუბლაძე, სტუ-ის ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის
ინსტიტუტის პროფესორი, თადარიგის გენერალ-მაიორი

E-mail: shubladze.tengiz@gmail.com

ანოტაცია. საზოგადოების განვითარების ისტორია და მისი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი მუდმივად კორელაციაშია ომების ისტორიასთან. ადამიანის ცხოვრების დონის აღმავლობის სურვილი, სისწრაფე, მისი მაღალხარისხობრივი მაჩვენებლისკენ სწრაფვა მუდმივად დაკავშირებული იყო გამოგონებებთან, ტექნოლოგიურ სიახლეებთან და მათი განვითარების უწყვეტ პროცესთან. ამ მხივ გამონაკლისი არც სამხედრო-საინჟინრო მეცნიერებისა და მრეწველობის სფერო იყო.

წარმოდგენილ სტატიაში განხილულია 21-ე საუკუნის ომების პირობებში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებისა და ზეზუსტი ინტელექტუა-

ლური საბრძოლო იარაღის მნიშვნელობა. აქ საუბარია სადაზვერვო დანიშნულებისა და კინეტიკური დარტყმის შესაძლებლობის მქონე დრონების როლზე საბრძოლო მოქმედებებში და მათი მხარდაჭერის საკითხზე კოსმოსური ბაზირების სისტემებით. ამან გადაშალა ახალი ეპოქალური ფურცელი თანამედროვე ომის ხელოვნებაში და მიანიშნა თანამედროვე ომის სახეცვლილებაზე. ნაშრომში განხილულია ის თავისებურებები, რომლებიც რეალურად გამოჩნდა საჰაერო-კოსმოსურ და კიბერსივრცეში მიმდინარე საომარი მოქმედებებისას. ნაჩვენებია ამ მოქმედებებთან სინთეზში არსებული ის გამოწვევები და პრობლემები, რომლებიც სამხედრო გადაწყვეტილებების მიღების პროცესის თანმდევა.

სტატიაში ასევე მოცემულია სადაზვერვო და გამანადგურებელი უპილოტო საფრენი აპარატების როლი და მნიშვნელობა თანამედროვე ფართომასშტაბიან, თუ ლოკალურ, საბრძოლო მოქმედებების პირობებში, განსაკუთრებით კი ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორც საქართველოა.

საკვანძო სიტყვები: ბაზირების სისტემები; დრონი; კოსმოსური სივრცე; საჰაერო-კოსმოსური სისტემა; ტექნოლოგიური ომი; უპილოტო ტექნოლოგიები.

შესავალი

1944 წლის 27 სექტემბერს, კუნძულ ბუგენვილის სანაპიროზე მიტოვებულ სავაჭრო გემზე ბაზირებული იაპონიის საიმპერატორო არმიის ჰაერსაწინააღმდეგო ბატარეის პერსონალმა შენიშნა ოთხი ამერიკული თვითმფრინავი, რომლებიც მიემართებოდნენ მათი მიმართულებით. მათ მიერ გახსნილი ცეცხლის შედეგად ორი თვითმფრინავი ჩამოაგდეს ხომალდიდან მოშორებით, ხოლო ორი მოხვდა პირდაპირ მიზანს და ბატარეა განადგურდა. აღნიშნული ინფორმაცია იაპონელთა შტაბში ჩაითვალა რუტინულად, მაგრამ აშშ-ის საზღვაო ძალების შტაბის მხოლოდ შეზღუდულმა წრემ იცოდა, რომ ეს შემთხვევა გამოირჩეოდა ჩვეულებრივი სამხედრო ინციდენტებისგან. უფრო მეტიც, იმ პერიოდისთვის, სავარაუდოდ, ვერავინ ხვდებოდა, რომ ეს შემთხვევა შევიდა ისტორიაში როგორც საბრძოლო ვითარებაში დრონების კინეტიკური გამოყენების პირველი პრეცედენტი.

საქმე ისაა, რომ ოთხივე თვითმფრინავი იყო სპეციალურად აღჭურვილი ორძრავიანი საფრენი აპარატის ვერსია, რომელიც იმართებოდა დისტანციურად და ატარებდა დაახლოებით 900-კილოგრამიან თითო სავიაციო ბომბს. აღნიშნული დრონები იყო TDR-1 მოდელის საფრენი აპარატები, რომელთა შექმნის და გამოყენების პროექტი დაიწყო 1942 წელს აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების ოფიცერ დელმარ ფარნის ინიციატივით. ამ პროგრამის ფარგლებში, საბრძოლო მოქმედებების თეატრში გაიგზავნა 46 ერთეული TDR-1 ტიპის საფრენი აპარატი, რომელთაგან 15 დაიკარგა ისე, რომ მიზნამდე ვერ მიაღწია, ხოლო დანარჩენებიდან მხოლოდ ნახევარმა შეძლო მიზნამდე მიღწევა მეტ-ნაკლებად ზუსტი დარტყმის შედეგით.

შეიძლება ითქვას, რომ ამ ეტაპისთვის ეს შედეგი იყო საკმაოდ შთამბეჭდავი და განსაკუთრებით TDR-1-ის საბრძოლო ოპერირების რადიუსის 160 საზღვაო მილამდე გაზრდის შემდეგ. თუმცა ამ პროგრამას თან ახლდა სერიოზული შეზღუდვები, რადგან დრონების გამოყენება შესაძლებელი იყო მხოლოდ დიდგაბარიტიანი ობიექტების წინააღმდეგ, რომლებიც კარგად ჩანდა არცთუ ისე მაღალი ხარისხის ტელეკამერაში.

საბოლოოდ, 1944 წლის ოქტომბერში, ყველა TDR-1 გამოყვანილი იყო საბრძოლო მოქმედებების თეატრიდან და შეიძლება ითქვას, რომ, ეს პროექტი გახდა სამხედრო-პოლიტიკური ინტრიგების მსხვერპლი, რადგან აშშ-ის ხელისუფლების უმაღლეს ემელონებში ვერ განჭვრიტეს ამ პროექტის სამომავლო პოტენციური შესაძლებლობები [1].

შეიძლება ითქვას, რომ დრონების კინეტიკური ფუნქციის რენესანსი დაიწყო 2002 წლის ნოემბრის

დასაწყისიდან, როდესაც ცენტრალური სადაზვერ-
ვო სააგენტოს კუთვნილი დრონიდან განხორციელ-
და დარტყმა (*Hellfire სისტემის რაკეტით*) ავტომან-
ქანაში მჯდომ ალ-ქაიდას რამდენიმეკაციან ტე-
რორისტულ ჯგუფზე იემენში [2]. II მსოფლიო ომის
დროინდელი წინამორბედისგან განსხვავებით, ეს
დარტყმა გამოირჩეოდა დიდი სიზუსტით და ნათ-
ლად აჩვენა უპილოტო სისტემების პოტენციური
თანამედროვე ომში. შესაბამისად, თამამად შეიძ-
ლება ითქვას, რომ ამ შემთხვევამ გადაშალა ახალი
ფურცელი თანამედროვე ომის ხელოვნებაში და
მიანიშნა თანამედროვე ომის ტრანსფორმაციაზე.

რა სახის ცვლილებები მოახდინა უპილოტო
ტექნოლოგიების განვითარებამ თანამედროვე ომის
ხელოვნებაში? რამდენად შეუწყო ამას ხელი კოსმო-
სური სივრცის ათვისებამ და კოსმოსური ბაზირე-
ბის სისტემების სულ უფრო ფართო და აქტიურმა
გამოყენებამ? რა მორალურ-ფსიქოლოგიური, სო-
ციალური და პოლიტიკური თავისებურებები მოჰყ-
ვა საბრძოლო ველზე უპილოტო მართვადი სის-
ტემების გამოჩენას? წინამდებარე სტატია წარმოად-
გენს მცდელობას პასუხი გასცეს ამ და სხვა თანამ-
დევ საკითხებს.

ძირითადი ნაწილი

კოსმოსი როგორც პოტენციური ბრძოლის ველი

ადამიანის არსებობის მრავალსაუკუნოვან ის-
ტორიაში, ჩვეულებრივად ომები მიმდინარეობდა
ორ ძირითად სივრცეში – სახმელეთო და საზღვაო.
გასული საუკუნის საწყისმა ეტაპმა, განსაკუთრე-
ბით კი პირველმა მსოფლიო ომმა აჩვენა, რომ საბრ-
ძოლო მოქმედებები გადავიდა საჰაერო სივრცეში,

მაგრამ მეოცე საუკუნის II ნახევრიდან კოსმოსური
სივრცე უკვე განიხილებოდა როგორც პოტენციური
ბრძოლის ველი. ეს ყველაფერი განაპირობა მუდ-
მივმა ტექნოლოგიურ პროგრესმა, რომლის ერთ-
ერთ მასტიმულირებელ ფაქტორად ყოველთვის
ითვლებოდა ქვეყნების სამხედრო-პოლიტიკური
ინტერესები (*ერთმანეთზე სამხედრო უპირატესო-
ბის მოპოვებით*).

საგულისხმოა, რომ კოსმოსური დაზვერვისა და
კოსმოსური თავდაცვის მნიშვნელობა საქართვე-
ლოს თავდაცვითი ძლიერების საქმეში. არანაკლებ
მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკური განვითარე-
ბის, ცალკეული სახელმწიფო სამოქალაქო ორგანი-
ზაციებისა თუ კერძო კომერციული სუბიექტების
მუშაობის ხელშეწყობისათვის.

თანამედროვე ტექნოლოგიური ომი წარმოუდ-
გენელია თანამგზავრული ბაზირების მართვისა და
კონტროლის სისტემების გამოყენების გარეშე (*რო-
გორიცაა სპეციალური ოპერაციების ძალებთან და-
ხურული კავშირგაბმულობის არხები*). კოსმოსური
დაზვერვა ხელს უწყობს ისეთ რაიონებსა და ობიექ-
ტებზე თვალთვალს, რომელიც მიუწვდომელია სა-
დაზვერვო ავიაციისთვის, ხოლო გლობალური პო-
ზიციონირების სისტემის პლატფორმაზე მართვადი
ბომბები და რაკეტები გამოირჩევა დიდი სიზუსტით
სტაციონარული ობიექტების განადგურებაში.

თითქმის ნახევარი საუკუნეა, რაც დაწყებულია
და ხორციელდება კოსმოსურ სისტემებზე სამეც-
ნიერო-კვლევითი სამუშაოები, მათი შექმნა და
შემდგომი გამოყენება თანამედროვე ომებსა და
შეიარაღებულ კონფლიქტებში. დღეს დასამალი
აღარაა, რომ ეს სისტემები აქტიურად იყო ჩართუ-
ლი როგორც თალიბების წინააღმდეგ ავღანეთში,

